



ახალი ტანატლეტა

№22 (616) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

ამერიკაში პრიორიტეტული კარიერის გაკეთება



რუბრიკის „ქართული სტუდენტები უცხოეთში“ სტუმარია

ქეთი ნოზაძე

გვერდი 4


მსოფლიო ლიტერატურის ქანისკოვანის ახალი ტომები



ალბერტო მორავია მოწყენილება



ჯეიმზ ფ. კუპერი ჯაშუღი



გილბერტ კ. ჩისტერტონი ღონე ქიხოსტის ზაგუნება

მოვემზადოთ მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის



მოვემზადოთ გამოსაშვები გამოცდებისთვის

ინფორმაცია



8 ლარი



4 ლარი



4,5 ლარი



12 ლარი



5,5 ლარი



7,5 ლარი



6,5 ლარი



წიგნი I – კველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა.

ავტორები:
თამარ გალიტაშვილი,
ამირან გომარტელი

თითოეული კრებულის ფასი - 10 ლარი

◆ კრებულებში ნახვით თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდო მათემატიკის ნაწარმოებებიდან;

◆ მათი მეშვეობით გაგიადვილებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;

◆ სწორი პასუხების შემოსაზრის შედეგად თქვენ გაქვებთ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;

◆ თქვენ შექვებთ დაქლივთ ყველა საგამოცდო სირთულა.

თვალსაზრისი

გამოხმაურება მინისტრის მოადგილის განცხადებაზე

2012 წლის 29 ნოემბრის გაზეთ „ახალ განათლებაში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუს ბატონ დავით ზურაბიშვილთან, რომლის სათაურია „ჩვენ არ ვაპირებთ რადიკალურ ცვლილებებს“, წამდგარებული აქვს წინასიტყვაობა: „ყოველი ახალი გადატრიალება განათლების სისტემაზე ძალიან მძიმედ აისახება. ეს კონსერვატიული სისტემაა და ვერ იტანს მკვეთრ და მყისიერ ცვლილებებს, რადიკალურ სიახლეებს. აქ ყველა ცვლილება ძალიან თანმიმდევრულად უნდა განხორციელდეს“.

თუ დავაკვირდებით ინტერვიუს სათაურსა და წინასიტყვაობას, როგორც იტყვიან, წყალი არ გაუვა, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, როცა განათლების სისტემაში ყველაფერი რიგზეა. დღეს კი, განათლების სისტემაში ბევრი პრობლემაა დაგროვილი.

პრობლემა 1: მაშინ, როდესაც განათლების 12-წლიანი რეფორმა კრახით დასრულდა, ამის შემდეგ თქმა იმისა, რომ „ჩვენ არ ვაპირებთ რადიკალურ ცვლილებებს“, რადიკალურად მიუღებელია.

პრობლემა 2: 2012 წელს ჩატარებული მოსწავლეთა საატესტატო და აბიტურიენტთა მისაღები გამოცდების შემდეგ, თქმა იმისა, რომ „ყოველი ახალი გადატრიალება“ განათლების სისტემაზე ძალიან მძიმედ აისახება“, ძალიან მძიმედ დააზარალებს სკოლას და საზოგადოებას.

პრობლემა 3: დღეს, როდესაც მისაღები გამოცდების სისტემაში არსებობს ალტერნატიული საგნების კორუფციული ნუსხები, თქმა იმისა, რომ „ეს კონსერვატიული სისტემაა და ვერ იტანს მკვეთრ და მყისიერ ცვლილებებს, რადიკალურ სიახლეებს“, მკვეთრად და რადიკალურად ზიანის მომტანია ქვეყნისათვის.

პრობლემა 4: დღეს სკოლებში საატესტატო გამოცდებს ველარ ვატარებთ, რამაც ჩავადო სწავლის მოტივაცია, მაინც ვამბობთ: „აქ ყველა ცვლილება ძალიან თანმიმდევრულად უნდა განხორციელდეს“.

პრობლემა 5: დღეს, როდესაც უმაღლესი სასწავლებლების მიერ არ არის აქცენტირებული მაპროფილებელი საგნები, რაც იწვევს ამ საგნებით ნაკლებად დაინტერესებას. თქმა იმისა, რომ „ყოველი ახალი გადატრიალება“ განათლების სისტემაზე ძალიან მძიმედ აისახება“, ძალიან მძიმედ აისახება მომავალი თაობის სწავლა-სწავლებაზე.

პრობლემა 6: დღეს, 21-ე საუკუნის მეორე ათწლეულში სკოლებში პოლიციური რეჟიმის – მანდატურის არსებობის პირობებში, თქმა იმისა, რომ „ჩვენ არ ვაპირებთ რადიკალურ ცვლილებებს“, რადიკალურად გაუმართლებელია.

პრობლემა 7: დღეს, როდესაც XI-XII კლასები თითქმის უფუნქციოდაა, თქმა იმისა, რომ „ჩვენ არ ვაპირებთ რადიკალურ ცვლილებებს“, რადიკალურად დაუშვებელია.

2012 წელს განათლების სამინისტრომ ჩატარა საატესტატო გამოცდები ყველა საგანში „განვრთნილი“ ტესტებით „ჭკვიან“ კომპიუტერზე, რომელიც კომპეტენციის მინიმალურ ზღვარზე ნაკლებ ნიშნულს არ უჩვენებდა. ჩააბარა ყველამ. ეს კი გახდა ძალიან ცუდი მაგალითი მომავალი უფროსკლასელებისათვის.

ერთ შეცდომას მეორე შეცდომა მოჰყვა – უმაღლესში მისაღები გამოცდები ჩატარეს 8+1 სისტემით, სადაც გამოყენებული იყო იგივე „ხერხები“. შედეგად ჩააბარა ყველამ, ვინც კი დარეგისტრირდა. ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა, რომლის მსგავსი განათლების ისტორიას არ ახსოვს.

განათლების სამინისტროს დამსახურებად უნდა ჩათვალოს ის, რომ მისაღები გამოცდებზე იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს და მოისპო კორუფცია, მაგრამ ამავე ტექნიკისა და სხვადასხვა მაქინაციების საშუალებით, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი და უმაღლესი სასწავლებლები ერთად ქმნიან კორუფციულ სისტემას. შედეგად უმაღლესში ჩარიცხვა იმდენად გამარტივებულია, რომ გამოცდამ მიიღო ფორმალური ხასიათი. უმაღლესში ჩარიცხვის შანსი უჩნდება ყველა მოსწავლეს, ირიცხება ყველა აბიტურიენტი. ამის ნათელი დადასტურებაა გასული წლის მისაღები გამოცდები.

მიმდინარე სასწავლო წელს, საატესტატო გამოცდის ჩატარების შესახებ, განათლების წარმომადგენლები აკეთებენ განცხადებებს: „ვერ ვასწრებთ; მზად არა ვართ; ყველაფრის თქმა არ შეიძლება“, არადა, რვა თვე განა ცოტაა?! დროის ამ შუალედში შეიძლება ააშენო ქალაქი, ააგო ცათამბჯენი და ა. შ. უსუსური არგუმენტები იყო მოხმობილი. არადა, მიზეზი ხომ სულ სხვაა – „გაუწვრთნელი“ ტესტები საგანგამო შედეგებს დადებს, ბევრი ატესტატს ვერ მიიღებს; პროპორციულად – უმაღლესებს კონტინგენტი შეუთხელდება და ა.შ.

რეფორმის პროექტის განხორციელების გეგმა 2000-2012 წელს მოიცავდა. შეფასების ქვეკომპონენტის საშუალო გეგმაც ამ პერიოდის ფარგლებში სამ ფაზად იყოფოდა. პირველ ფაზაში /2001-2004/ განათლების სამინისტროს მიერ შეფასების დამოუკიდებელი ცენტრი უნდა შექმნილიყო. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ 5 წელი დასჭირდა ცენტრის შექმნას.

მეორე ფაზა /2005-2007/ მოსალოდნელი შედეგები უნდა ყოფილიყო ეროვნული გამოცდების ჩატარება მე-9 კლასში, ძირითად საგნებში, რაც აღარ ჩატარებულა /მზად არ იყვნენ; ველარ მოასწრეს/.

მესამე ფაზა /2008-2010/ კი გულისხმობდა ეროვნული გამოცდების ჩატარებას მე-12 კლასში, ძირითად საგნებში. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ათი წელი ემზადებოდა საატესტატო გამოცდებისათვის და მაინც ვერ მოემზადა. რა იყო ამის მიზეზი? 12-წლიანი სასკოლო სწავლება, რომლის

პირდაპირი შედეგი იყო მოსწავლეთა ცოდნის დაბალი დონე; წარუმატებელი 12-წლიანი რეფორმა.

ერთი წლის დავიანებით, 2011 წელს, ჩატარდა საატესტატო გამოცდები. ეს ფაქტი მიანიშნებდა იმაზე, რომ ყველა სკოლა უზრუნველყოფილი იყო კომპიუტერული გამოცდების ჩატარებისათვის საჭირო ტექნოლოგიური საშუალებებით და „ჭკვიან“ კომპიუტერზე „განვრთნილი“ ტესტებით, რომელსაც მხოლოდ გამონაკლისები ვერ აბარებდნენ. ასეთი იყო 2011 წლის საატესტატო გამოცდები და არამარტო ის. ასეთივე იყო 2012 წლის საატესტატო და აბიტურიენტთა მისაღები გამოცდებიც. არც უმაღლესში მისაღები გამოცდებზე გამსვლელი ქულების დაგროვებას სჭირდება მეთავე კლასის საშუალო დონეზე მყოფი აბიტურიენტის ცოდნაზე მეტი. დღეს უმაღლესი სკოლების მოთხოვნაა, რაც შეიძლება მეტი სტუდენტი, კონტინგენტი და არა ცოდნა, ხარისხი. და რადგან მოთხოვნა არ არის, ჩვენი ახალგაზრდობა მიეჩნევა იოლი გზით სიარულს, დაკარგა სწავლის მოტივაცია. ისინი 12 წელი „დასაქმნობენ“ სკოლაში, დარწმუნებულები იმაში, თუ ფული ექნებათ, აუცილებლად გახდებიან სტუდენტები, მიიღებენ განათლებულობის დამადასტურებელ დიპლომებს. ეგ კიდევ სხვა პრობლემაა. მე კი ისევ მივუბრუნდები მთავარ კითხვას: რა არის დღეს XI-XII კლასები და ნიშნულება? ვის აქვს ამ კითხვის პასუხი? არადა, ახალგაზრდებისათვის ის ორი წელი სრულიად უქმად იკარგება, თუ მარტო იკარგება...

სკოლაში სწავლის ხანგრძლივობის ორი წლით გაზრდა უნდა ასახულიყო უმაღლესში სწავლის ხანგრძლივობაზე. არადა, მოხდა პირიქით. უმაღლესი სასწავლებლებში 4-წლიანი სწავლის შემდეგ სტუდენტი იღებს ბაკალავრის დიპლომს, რომელიც ვერ უტოლდება „კომუნისტური ტექნიკუმის“ დიპლომსაც კი. ამდენად, ახალგაზრდებს მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად უნებურად უწევს ორწლიანი სწავლისა და ჯიბის გათხელების პროცედურების გაკლა, რაც ქართული ოჯახების ისედაც გაღატაკებულ ბიუჯეტს ყველგან უშედეგოდ. უშედეგოდ იმდენად, რამდენადაც საოცნებო დიპლომიანთა შორის მხოლოდ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულებს აქვთ სამსახურის შოვნის შანსი.

ფიქრობ, განათლების სამინისტრო, გამოცდების ეროვნული ცენტრი, უმაღლესი სასწავლებლები, სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად, ქმნიან ფართომასშტაბიან, გარეგნულად შეუმჩნეველ „მარტივ“ კორუფციულ სისტემას. სწორედ რომ სიმარტივეშია მისი „გენიალურობა“.

დემურ კუხალიაშვილი
ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი
წხოროსის საჯარო სკოლა, ზუგდიდი

იარონ, იარონ, იარონ, ამინ!

მე და ჩემს სკოლას პედაგოგიური მოღვაწეობის საიუბილეო (50) წელი შეგვისრულდა. საყვარელი საქმის კეთებაში საუკუნის ნახევარი გავრწმუნდა.

მე რუსთავის მე-17 საჯარო სკოლის ფიზიკურ განათლების მასწავლებელი ვიყავი. ამ საგნის სწავლებით საქვეყნო საქმე კეთდებოდა. იგი სასკოლო საგანთა შორის მოსწავლეთა ჯანმრთელობაზე ორიენტირებულ ერთადერთ საგანს წარმოადგენდა. გულდასაწყვეტია, რომ მასზე წარსულ დროში მიწვეს საუბარს, როგორც ნეკროლოგში, მაგრამ ნაწილობრივ ასეა.

რეფორმირებულ სკოლაში „სპორტი“ ჰქვია იმ საგანს, რომელმაც ფიზკულტურა ჩაანაცვლა. მას, როგორც მემკვიდრეს, ბუნებრივია მისი ფუნქციაც უნდა ეტვირთა. არადა საგნის სახელი (სპორტი) რა იმედისმომცემად უღერს. რა სპორტი, რის სპორტი, სპორტულ დარბაზში ტრადიციული ფორმის გარეშე „მეცადინეობა“ მავანთა მიერ მისი უდიდებულესობის (სპორტის) დასაკნინებელი მეცადინეობაა. რა ტყუილად აქციეთ ზურგი საბჭოთა სკოლის გამოცდილებას. გაკვეთილებით, კლასგარეშე ლონისძიებებით ეს საგანი ყველაზე გეგმაზომიერ, მიზანმიმართულ და მოტივირებულ საგნად მიმარჩნდა. მასწავლებელი თუ პროფესიონალი იყო, სასკოლო ცხოვრება ზეიმს ემსგავსებოდა. ასეთ სკოლას ბავშვების მოსათოკად მანდატურები არ დასჭირდებოდა.

„ბავშვს აქვს ჯანმრთელობის უფლება“ – კითხულობენ სასკოლო რეფორმის მესვეურები ბავშვთა უფლებათა დაცვის საერთაშორისო დეკლარაციაში, ეთანხმებიან კიდევ. მაგრამ გაკვეთილების ცხრილში არსებული 2 მნიერი საათის და ჩატარებული ვაი გაკვეთილის მეტს ვერაფერს იმეტებენ. არადა „სპორტის“ გაკვეთილზე არსებული სიტუაცია ანტისპორტულია. გოგონები დარბაზში მათთვის განკუთვნილ ტანვარჯიშულ სკამზე სხდებიან და იწყებენ ვარჯიშს ჭორაობაში, სხვა ალტერნატივა არ აქვთ.

ბიჭები იწყებენ ფეხბურთს, რაც ბურ-

თით პამპულობანას თამაშს ჰგავს. შედეგი სახეზეა – წვევამდელთა უმნიფრობის მიზეზი სწორედ ეს გახლავთ. მათ არ გააჩნიათ არავითარი სპორტული უნარ-ჩვევა. ფეხის აწყობას და სხვა სპორტულ ანბანს ქართული ჯარის მწვრთნელების ხელში ან ეუფლებიან, ან ვერა. ახალგაზრდა მსახიობებიც არ ტოვებენ სასურველ შთაბეჭდილებას. ფილმებში, თუ ვინმე მოსდევთ და გაქცევას საჭირო, მათი ყურება საცოდაობაა. ჩვენს შვილებს შეხედეთ, მათ ხომ კომპიუტერის სავარძლის ფორმა აქვთ მიღებული.

ყველას შავდათუაშვილობას ვერ მოვთხოვთ.

უახლოეს წარსულში უდიდობაში მასწავლებლებს სკოლებში არ აჭაჭანებდნენ. ახლანდელში კი ამ მხრივ კარგად არ შეიძლება იყოს საქმე. ვინც მასწავლებლებს ნიშნავს, ფიქრობს: ბავშვებს ბურთს გაუფორებს და მორჩა. კადრების საქმის ასეთი განმგებლების მისამართით ვიტყვი: ის ან რეფორმირებული სკოლის აღზრდილია, ან სპორტზეა აცრილი, ან შესაბამისი კადრების მწვევა დეფიციტია, ან სამივე ერთად.

აქედან დასკვნა: საჭიროა აღდგეს სპორტის მუშაკთა და პედაგოგთა სამჭედლო – თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური და სპორტის ინსტიტუტი თავისი უნიკალური ინფრასტრუქტურით, რომელიც წინა მთავრობის მსახვრალ ხელს გადაურჩა და ჭეშმარიტი სპორტის სამსახურში ჩადგომას ელოდება.

სკოლაში სპორტის გაკვეთილები პლუს სასკოლო სექციური დატვირთვა აღადგენს სპორტის შეღავათს იმიჯს.

ქართულ ჯარს ეყოლება ნავარჯიშევი, დაკუნთული ღირსეული ცვლა.

თბილისის ფართო ქუჩებში კვლავაც ივლიან სპორტული აღზარების გოგო-ბიჭები.

„იარონ! იარონ! იარონ! ამინ“

ყაზაგი ფილიაჟი
რუსთავის მე-17 სკოლის ფიზკულტურის
ყოფილი მასწავლებელი

ინფორმაცია

ნორვეგიული ინკლუზიური განათლების ექსპერტები სამუშაო შეხვედრებს მართავენ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს ერთობლივი პროექტის „ინკლუზიური განათლების დანერგვა პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში“ ფარგლებში, ნორვეგიელი არქიტექტორი და ინკლუზიური განათლების ექსპერტები, 3-7 ივნისს, დარგის ქართული სპეციალისტებისათვის სემინარს მართავენ.



სემინარის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომლის მუშაობაშიც მინისტრის მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი მონაწილეობდა. შეხვედრას ესწრებოდნენ: ინკლუზიური განათლების სპეციალისტები, სამინისტროს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლები. მათ განიხილეს უნივერსალურად ორგანიზებული საგანმანათლებლო გარემოს პრინციპები და კონკრეტული რეკომენდაციები ერთ-ერთი პროფესიული სასწავლებლის მაგალითზე. ასევე, შეხვედრაზე წამოჭრილი საკითხების ირგვლივ დისკუსია გაიმართა.

ექსპერტების სამუშაო შეხვედრების პირველი ნაწილი თბილისის ორ პროფესიულ სასწავლებელში – „მერმისი“ და „სპექტრი“ – გაიმართა. სემინარის თემა იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნის აუცილებლობა. შერჩეული პროფესიული სასწავლებლების შენობა-ნაგებობების მაგალითზე მოხდა გარემოს ხელმისაწვდომობის შეფასების საერთაშორისოდ აღიარებული მოდელის დემონსტრირება. სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების (თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და ლიას სახელმწიფო უნივერსიტეტი) არქიტექტურის ფაკულტეტების სტუდენტები და პროფესორები, რათა, სამომავლოდ, მათ სასწავლო პროგრამებში აქცენტირებული იყოს ხელმისაწვდომობის პრინციპები.

სემინარზე, გარეშე ხელმისაწვდომობის ანალიზისას, აქცენტი გაკეთდა სხვადასხვა საჭიროებების გათვალისწინებაზე – ეტლით მოსარგებლე, უსინათლო და სმენის პრობლემის მქონე პირებისათვის. ასევე, შეიქმნა კონკრეტული რეკომენდაციები გარემოს ადაპტირებისათვის საჭირო განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.


დახრილი სიბრტყე - საჯილდოო ჯვარი, ანუ დასანანი ზუსლობა

ფიზიკის მასწავლებლების შეფასებისას (მაგალითად ტესტირებისას) ძირითადად ყურადღება ექცევა, თუ როგორ ხსნის მასწავლებელი ფიზიკის ამოცანებს. სამწუხაროდ, მასწავლებელთა დიდი ნაწილი ამოცანებს ვერ ხსნის. ამ ფონზე მასწავლებლისათვის მცდარი მითითება დიდი ცოდვაა.

მთავარია, მასწავლებელი ან მოსწავლე ამოცანის ამოხსნას მივაჩვიოთ (და არა ვასწავლოთ!). ნიუტონის მეორე კანონზე ამოცანები, კონკრეტულად, დახრილ სიბრტყეზე ამოცანები „ულამაზესია“ პირდაპირი მნიშვნელობით და იმ გაგებით, რომ მოსწავლეები საკითხისადმი დიდ ინტერესს იჩენენ, მასწავლებელს პრაქტიკულად არ სჭირდება მათი ყურადღების მოზიდავისათვის ძალისხმევა.

ამოხსნის ჩანაწერი - შრომის შედეგი დიდ საიმოვნებას ანიჭებს როგორც ამომხსნელს, ისე მასწავლებელს. ამოცანებში „მახეობა“, რომელთა შემჩნევა-დამოწმების უნარი სწავლების მიზანია.


ნიუტონის მეორე კანონი და მისი გამოყენება ი. კიკონის და ა. კიკონის სახელმძღვანელოში, აგრეთვე კ. რიმკვიჩის და პ. რიმკვიჩის ამოცანათა კრებულში, მეთოდური მეცნიერული თვალსაზრისით, შესანიშნავადაა დამუშავებული. იგივე შეიძლება ითქვას აღნიშნულ სახელმძღვანელოებზე ზედნაშენ ქართველ ავტორთა სახელმძღვანელოებზეც (ყოველ შემთხვევაში, იმ სახელმძღვანელოებში მაინც, რომელთაც ვიცნობ. - გ.კ.). ამ ფონზე გაუგებარია შეცდომები, რომლებსაც ამ საკითხის განხილვისას ქართველი ავტორები უშვებენ. კერძოდ, შეცდომაა რამდენიმე ავტორის მიერ ამ 30 წლის წინ გამოცემულ ფიზიკის დამხმარე სახელმძღვანელოში. ფაქტია, ამოცანა ერთმა ავტორმა ამოხსნა შეცდომით, თანაავტორებმა არ ნაკითხეს. ეს ის დროა, როდესაც ბატონი თამაზ ნიჭიანი ვაძის დამონებები, რედაქტორები სარედაქციო წიგნს თუ სტატიას არ კითხულობდნენ. გავიდა წლები და შეცდომა გამეორდა 2012 წელს გამოცემულ ჟურნალში „მასწავლებელი“, №3, სტატიაში - „მექანიკური ძალების შესახებ“.



ნახ.1

მოვიხილო ციტატას სტატიიდან: „ნახაზზე (ნახატი 1) ძალები გამოსახულია იმ პირობით, რომ სხეული მოძრაობს ქვემოთ (?). ამის კვალობაზე აჩქარებაც მიმართულია ქვემოთ (?). რატომ? ავტორი თუ იმას გულისმობს, რომ სურათზე ხახუნის ძალა მიმართულია სიბრტყის პარალელურად ზემოთ, ცდება! ამ სიტუაციაში სხეული შეიძლება უძრავი იყოს. მით უმეტეს, რომ „სურათის მიხედვით“ $F_x > mgsin\alpha$. შემდეგ ავტორი ამბობს: „ბუნებაში ჩამომასრიალებელი ძალა არ არსებობს“. მართალია! აჩქარება სხეულზე მოდებული ყველა ძალის ერთობლივი მოქმედების პროდუქტია! რამდენიმე წინადადების შემდეგ ვკითხულობთ: „ჩამომასრიალებელი ძალა არის ხახუნისა და სიმძიმის ძალების გეგმილთა ალგებრული ჯამი აჩქარების მიმართულებაზე“. გასაგებია, არის უნებლიე შეცდომა - ავტორი უნებლიედ უარყოფს ჭეშმარიტებას, მაგრამ არის სხვა შეცდომაც - ძალა არ შეიძლება იყოს გეგმილების ჯამი. თუ გეგმილი ისე გვესმის, როგორც ტექსტში იგულისხმება, გეგმილი რიცხვია! სახელდებულნი, მაგრამ მაინც რიცხვი!

ავტორი წერს: „განვიხილოთ მე-2 ნახატიზე





სურ. 2

ნაჩვენები შემთხვევა. ამ შემთხვევაში ცალკე უნდა გამოვყოთ A და B სხეულების მოძრაობა (?). ამის შემდეგ ვკითხულობთ „A სხეულზე მოქმედებს სიმძიმის ძალა, ძაღის დაჭიმულობის ძალა, საყრდენის რეაქციის ძალა და ხახუნის ძალა“

ავტორი არაფერს ამბობს B სხეულზე. ცდაში ორივე სხეული ერთნაირი უფლებით მონაწილეობს. გაუგებარია, რა დანიშნულება და მოვალეობა აქვს B სხეულს? „რა საჭიროა ორი სხეული“. B სხეული შემოტანა არაფერს აძლევს ამოცანას, თუ, რა თქმა უნდა, ეს ამოცანაა.

შემდეგ გრძელდება: „A სხეულზე მოქმედი ხახუნის ძალის მიმართულებაზე ვერაფერს ვიცვით, სანამ არ გვეცოდინება რა მიმართულებით მოძრაობს სისტემა დახრილი სიბრტყის გასწვრივ - ქვევით თუ ზევით“. სავერებით სამართლიანია ავტორის შენიშვნა, მაგრამ იგი არ ითვალისწინებს შემდეგ ფაქტს: სისტემა შეიძლება უძრავი იყოს!! სამართლიანი იქნებოდა ასეთი წინადადება: „სხეულები საით მოძრაობენ ან საით ცდილობენ იმოძრაონ“. შემდეგ შეცდომების მიზეზი სწორედ ამ ფაქტის არგათვალისწინებაა!

შემდეგ ვკითხულობთ: „აჩქარების გამოანგარიშების შემდეგ, თუ საბოლოოდ პასუხში დადებითი რიცხვი მივიღეთ, მაშინ მიმართულება სწორად ავგირჩევია, თუ უარყოფითი, მაშინ მოძრაობას საპირისპირო მიმართულება ექნება (?), შესაბამისად, უნდა შეიცვალოს ხახუნის ძალის მიმართულება (?), აჩქარება თავიდან გამოვიანგარიშოთ (!)“ ავტორი ცდება, შეცდომის მიზეზი ის არის, რომ დახრილ სიბრტყეზე მდებარე A სხეული შეიძლება იყოს უძრავი - ცდილობდეს ქვევით ან ზევით მოძრაობას ან არ ცდილობდეს. ყველა ამ შემთხვევაში ხახუნის ძალა სხვადასხვაა ზომით და მიმართულებით. ავტორი ბრძანებს: „აჩქარების გამოანგარიშების შემდეგ თუ საბოლოოდ პასუხში დადებითი რიცხვი მივიღეთ, მაშინ მიმართულება სწორად ავგირჩევია“, თუ უარყოფითი რიცხვი მივიღეთ, ავტორი ამოცანის თავიდან ამოხსნას გვთავაზობს, ოღონდ ჩავთვალოთ, რომ მოძრაობა სანინალმდეგო მიმართულებითაა. აქაც თუ უარყოფითი მიიღო აჩქარების გეგმილი(!), რა ქნას საწყალმა მოსწავლემ ან კიდევ უფრო საწყალმა მასწავლებელმა?



ზემოთ ნახსენებ მრავალ ავტორთა ფიზიკის კურსში ერთ-ერთი ავტორი ხსნის ამოცანას და ლებულობს, ვთქვათ, $a = -2(g/5\sqrt{2})$ ავტორი ამბობს ე.ი. სხეული მოძრაობს სიბრტყეზე ქვემოთ ზომით $2(g/5\sqrt{2})$ აჩქარებით. თუ თქვენი დაუჯერებელი ავტორს, ჩათვლით, რომ სხეული მოძრაობს სიბრტყეზე ქვემოთ შუილ-შუილით და ამოხსნით ამოცანას, აჩქარების გეგმილს კვლავ უარყოფითს მიიღებთ! (მათემატიკამ მეტი რა ქნას?! ოღონდ არა $2(g/5\sqrt{2})$ -ს. განვიხილოთ ამოცანა: სურათზე გამოსახულ შემთხვევაში $h=60$ სმ, $L=0.5$ მ, $m=0.25$, $\mu=0.25$. იპოვეთ m სხეულზე მოქმედი ხახუნის ძალა, სხეულთა აჩქარების ზომა.

დავუშვათ m სხეული მოძრაობს სიბრტყეზე ქვემოთ. ჭოჭონაქი ძალას მხოლოდ მიმართულებას უცვლის, ამიტომ შეიძლება ვისარგებლოთ მეორე სურათით: $T_1 + T_2 = 0$.


ამ მსჯელობით $F_x m g \cos \alpha = 16$ სინამდვილეში ხახუნის ძალის ზომა $F_x m g \cos \alpha = 0.56$ მიმართულია ზემოთ. აქ ორმაგი შეცდომა - სხეულზე მოქმედებს უძრავობის ხახუნის ძალა და არა $\mu m g \cos \alpha$.

a = (m sin alpha - mu cos alpha - M) g / (5*sqrt(2))

თუ ჩავთვლით, რომ m სხეული მოძრაობს ზემოთ აჩქარებით, დაინერება M g - m g sin alpha - mu m g cos alpha = (M+m) a, აქედან

a = (m sin alpha - mu m cos alpha) g / (M+m), a = -2(g/5*sqrt(2)) < 0

არ იქნება სწორი ორივე შემთხვევაში შევძახოთ: „უი, მოძრაობის მიმართულება ორივე შემთხვევაში სწორად ვერ განვსაზღვრეთ!“



სურ. 3

ამოცანის ამოხსნის მარტივი და სწორი გზა ასეთია - ჯერ გავიგოთ საით მოძრაობენ სხეულები ან ცდილობენ იმოძრაონ: ვთქვათ, m სხეულზე ხახუნის ძალა არ მოქმედებს; გავარკვიოთ საით იმოძრაობენ სხეულები: Mg=0.25*9.8=2.56, mgsin alpha=0.41*0.65=36. გათვალისწინების შემდეგ სხეულები იმოძრავენ ქვემოთ. თუ ხახუნი არის, გათვალისწინებულ შემდეგ შეეცდებიან იმოძრაონ ქვემოთ; შესაძლებელია მიკროსკოპულ გადაადგილებებს, m სხეულზე მოქმედებს დაინეგებს ზომით (მოდულით) ზრდადი ხახუნის ძალა (იგი მიმართული იქნება დახრილი სიბრტყის გასწვრივ ზემოთ (სურ 3). როდესაც ხახუნის ძალის ზომა გახდება 0.56, სისტემა შეწყვეტს მოძრაობას, რადგან m სხეულზე მოქმედ ძალთა ტოლქმედი ნულს გაუტოლდება. თუ თქვენ ამოხსნით ამოცანას სტატიის ავტორის რჩევების მიხედვით, აჩქარების გეგმილს, ორივე შემთხვევაში, უარყოფით რიცხვს მიიღებთ.

არ ვარ მომხრე დახრილ სიბრტყეზე ამოცანების ამოხსნის იმ სტილით დაწყების, როგორც ეს ქართულ ენაზე დახრილი სახელმძღვანელოებშია. სტილი ასეთია: აბსტრაქტულ დახრილ სიბრტყეზე მოსრიალებს აბსტრაქტული სხეული. ვიპოვოთ სხეულის აბსტრაქტული აჩქარება. ამოცანის ამოხსნისათვის გამოვსახოთ აბსტრაქტულ სხეულზე მოქმედი აბსტრაქტული ძალები და ა.შ. თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება იქამდე მივიდეთ, რომ ბავშვს ეგონოს, ყველი, რომელიც დილით მიირთვა (ან არ მიირთვა), აბსტრაქტული იყო. ფიზიკა ზუსტი, მაგრამ გამოყენებითი მეცნიერებაა. მისი ხიბლი ამ მეცნიერების მიერ პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის უნარშიც არის.

დახრილ სიბრტყეზე ამოცანების ამოხსნისას პირველი კითხვა ასეთი უნდა იყოს: დატკეპნილ და მოყინულ თოვლიან ფერდობზე სრიალს იწყებენ დიდი და მცირე მასის ციგები. რომელი უფრო მალე ჩამოსრიალდება, თუ ჰაერის წინააღმდეგობა და ხახუნი არ არის? მეორე კითხვა: იგივე ამოცანა - თუ ხახუნი არის, ჰაერის წინააღმდეგობა არ არის. ამგვარად ჩამოყალიბებული ამოცანებისადმი ბავშვები ინტერესს ამჟღავნებენ. საკითხი ასე, ალბათ, 500-მდე ბავშვთან მექნება განხილული, მათ შორის, უნიჭიერეს ბავშვებთან. არ მახსოვს, რომელიმე მათგანს სწორი პასუხი დაესაბუთებინოს. მიმართა, რომ ეს მასწავლებლის, ე.ი. ჩემი ნაკლია - ბავშვები სათანადოდ ვერ მოვამზადე ამ შეკითხვებისათვის; მეთოდისტა ნაწილის აზრით, მასწავლებელმა არ უნდა დასვას კითხვა, რომელსაც კლასში ვერც ერთი მოსწავლე ვერ პასუხობს (ამ აზრს არ ვიზიარებ! - გ.კ.). აღნიშნულ ამოცანებს ეთმობა 10-12 წუთი, შემდეგ ვამბობ: კარგი, ამ ამოცანებს თავი დავანებოთ, სახლში იფიქრეთ. ახლა კი, გავარჩიოთ ამოცანა: იპოვეთ სხეულის აჩქარება დახრილ სიბრტყეზე ჩამოსრიალებისას, თუ სხეულსა და დახრილ სიბრტყეს შორის არც ხახუნია და არც ჰაერის წინააღმდეგობა. 2-3 წუთის შემდეგ, რამდენიმე თვალეგაბრწყინებული მოსწავლე, თითქმის ერთდროულად, დაიძახებს: ციგების აჩქარება მასაზე არ არის დამოკიდებული, ე.ი. არც ჩამოსრიალების დროა დამოკიდებული მასაზე. მალე საიმოვნების განცდა და წყნარ ერთდროულად დაეუფლება მთელ კლასს იმის გამო, რომ ვერ

მიხვდნენ. ბავშვმა გაიგო, რომ ფერდობი დახრილი სიბრტყეა.

ერთ-ერთ ინტერვიუში ჰემინგუეი ამბობს: როცა რაიმე საკითხზე წერ, ფურცელზე გადმოტანილი მენი ცოდნის ოდენობა და საკითხზე შენი ცოდნის ოდენობა ისე უნდა შეეფარდებოდეს ერთმანეთს, როგორც აისბერგის წყალზე და წყალქვეშა ნაწილების მოცულობები (1:9)!

გამოთქმულ თვალსაზრისს დავარქვათ ჰემინგუეის პირველი პრინციპი; პირველი იმიტომ, რომ არის ჰემინგუეის მეორე პრინციპი. ამავე ინტერვიუში იგი ამბობს: „აღმოხდების მზის“ უკანასკნელი გვერდი 36-ჯერ გადავწერე. მგონია, ქართველი ავტორები ორივე პრინციპს ლალატობენ. შემთხვევითი არ არის, ბრეტტი ქართველს რომ ათქმევენებს: „მე რასაც ვაკეთებ, ლაზათთან ვაკეთებ“. ლევ ტოლსტოი გენიოსი იყო, მაგრამ „ჰაჯი მურატის“ პირველი გვერდი 6-ჯერ გადაწერა; ექვსივე ეგზემპლარი მაქვს ნაკითხული და ვიცი, როგორ უმჯობესდებოდა ტექსტი.

მოცემული სიტუაციებისათვის ჰემინგუეის პრინციპებს ასე ჩამოვყალიბებ: თუ თქვენ, მკითხველი, დახრილ სიბრტყეზე სხეულის მოძრაობაზე სტატია გინდათ დაწეროთ, აუცილებლად უნდა გქონდეთ განხილული ამოცანები რიმკვიჩის ამოცანათა კრებულიდან №№263-274; №293, თანაც ყველა შემთხვევა უნდა განიხილოთ. მიიღებთ რა პასუხს, უნდა შეამოწმოთ, სწორია თუ არა, არა იმიტომ, რომ ფიზიკა არ იცით.

უნდა იყოს მექანიკაში, რომელიც სტატიას ასეთი შეცდომებიდან დააზღვევდა. საინტერესოა, ასეთ სტატიებს ჩემ გარდა სხვა არ კითხულობს?! თუ აქაც ძალაშია - „მე ყველაფერი ვიცი, თანაც ლაზათთანადა“!

გელა კვიციანი პედაგოგი

P.S. შეიძლება სტატია და ტონი მკითხველისათვის გაუგებარი იყოს, ამიტომ აუცილებლად მიმართა შემდეგი განმარტება: შემთხვევით ნაგანყი 2012 წ გამოშვებულ ჟურნალ „მასწავლებელს“. დავათვლიერე - კარგი, ლამაზი, მაღალი ხარისხის ილუსტრაციები, სტატია ფიზიკაში. სტატია წავიკითხე, შევნიშნე შეცდომები. მეც მქონდა დახრილი სტატია „რამდენიმე უნებლიე შეცდომა ფიზიკაში“. გადავწყვიტე აღნიშნული სტატიის ავტორის ნახვად ჩემი წერილის გამოქვეყნება. რედაქციამ ერთ-ერთი რედაქტორი მომეგება, წარვუდგინე სტატია. შემპირდა დაგეგმვათ, ოღონდ ჯერ ექსპერტმა უნდა ნახოსო (აღმოჩნდა, რომ ექსპერტი ჩემ მიერ დაწერილი სტატიის ავტორია). თავად სტატიის ავტორი ვერ ვნახე. ამის შემდეგ რამდენჯერმე დაუურეკე და შევხვედი რედაქტორს. ყოველ მისვლაზე მაიმედებდა, რომ ჩემს სტატიას დაბეჭდავენ, ექსპერტი კი რაიონშია ლექციების წასაკითხად. ამგვარი „მიდი-მოდი“ და „ალო-ალო“ ორ თვეს გაგრძელდა. ბოლოს რედაქტორმა თავაზიანად ისევ რომ გამიმეორა: ექსპერტი კვლავ რაიონშია, შევატყვე საქმე მთლად კარგად არ იყო (რა თქმა უნდა, რედაქციისთვის - გ.კ.), გარკვეული გამოცდილება მეც მაქვს. რედაქტორს ვუთხრებ: ჭაბუა ამირჯიბის „გორა მბორგალში“ ასეთი ეპიზოდია - იმპოტენტი პრეზერვატივებს აგროვებს, მეც მასე მომივიდა, თუ ვინმე შეცდომას დაუშვებდა ვინახსოვრებდი, თუ წიგნში შეცდომას ვნახავდი (ასეთი უამრავი იყო - გ.კ.) ვანალიზებდი და სტატიას ვწერდი, მაგრამ იმ იმპოტენტი ვიქცივოდი, არ ვაქვეყნებდი. ასეთი შენიშვნა უამრავი მაქვს. რედაქტორისათვის ჩემი მიზანი გასაგები უნდა ყოფილიყო. მეტი დამაჯერებლობისათვის დავაყოლე, რომ ორმოცი წელიწადი ფიზიკა-მათემატიკის სკოლაში ვმუშაობდი და ექსპერტთან ჩემი შეხვედრა მისთვისაც სასარგებლო იქნებოდა. რედაქტორს დავემშვიდობე. მესამე სართულიდან რომ ჩამოვდიოდი, მეორე სართულის დერეფანში ექსპერტს წავაწყდი (ვიცანი ჟურნალში სტატიისადმი დართული ავტორის სურათით). ეს ამბავი დეკემბრის შუა რიცხვებში მოხდა, ახლა მაისის ბოლო რიცხვებშია. 5 თვე არავინ გამომეხმარა. ვფიქრობ, ექსპერტის და რედაქტორის ლოცვა ასეთია: უარის თქმა რაც შეიძლება გავაჭიანუროთ, იქნებ უარის თქმამდე „ან ვირი იყოს ან ვირის პატრონი“. მე კი მგონია: „ეგრე არ არის თაყაო, შენ რომ მამული გაჰყავო“!

ამერიკაში პროგრესული კარიერის გაკეთება

ესაუბრა მამა ყიფინანი

– ქეთი, შენც იმ ილბიან სტუდენტთა შორის ხარ, რომლებსაც საშუალება მიეცათ საზღვარგარეთ ცოდნის გასაღრმავებლად წასულიყვნენ. მამა შენ შესახებ, რატომ გადამწყვეტე მაგისტრატურა საზღვარგარეთ გაგველო?

დავამთავრე თბილისის 126-ე საშუალო სკოლა და ჩავაბარე ამერიკულ ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში, სადაც ინგლისურ ენაზე ვსწავლობდი ყველა საგანს. მეორე კურსიდან ვმუშაობდი არასამთავრობო ორგანიზაციებში. საბოლოოდ, საშუალო გამოცდილება და ამერიკული უნივერსიტეტის დიპლომი დაფინანსების მოპოვებაში დამეხმარა. პირველი მაგისტრატურა ნო-

ტერ დამის უნივერსიტეტში, კონფლიქტოლოგიის განხრით, გავიარე. სწავლის დასრულების შემდეგ 6 თვე ამერიკაში ვმუშაობდი, პარალელურად, ჩავაბარე მაგისტრატურაზე ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტში, ეკონომიკის განხრით, მთლიანი დაფინანსებით. მაგისტრატურაში ჩაბარებისთვის აუცილებელია TOEFL-ის და GRE-ის ტესტები, ასევე დიდი ყურადღება ექცევა საშუალო გამოცდილებას და მოტივაციას, რატომ გინდა საზღვარგარეთ სწავლა მაგისტრატურაში.

– დამეთანხმები, რომ საზღვარგარეთ განათლების მიღება საკმაოდ ძვირია. ალბათ, სტიპენდიის მოპოვება და შენარჩუნებაც რთულია. ზოგიერთ ქვეყანაში სტიპენდიები ნიჭიერი სტუდენტებისთვის

საკონკურსო საწყისებზე უშუალოდ სასწავლო დაწესებულების მიერ გამოიყოფა. შენ შემთხვევაში როგორ მოხდა, რა ღირს სწავლა და რა პრივილეგიებით სარგებლობენ წარჩინებული სტუდენტები?

ერთი წლის ღირებულება საკარადოდ 30,000 დან 50, 000 დოლარამდეა. მე მქონდა სწავლის სტიპენდია და საცხოვრებლის დასაფარავად მიხდებოდა პროფესორებთან მუშაობა, როგორც კვლევების ასისტენტი. პირველი რამდენიმე თვე განსაკუთრებით ძნელია, სანამ იქაურ სწავლის და მუშაობის გიჟ რიტმს შეეჩვევი.

სტიპენდიის მოსაპოვებლად ძალიან კარგი ატესტატი უნდა გქონდეს და სასურველია მაღალი ქულები TOEFL-ის და GRE-ის ტესტებში, ასევე წაგადგება საშუალო გამოცდილება. სტიპენდიის შესანარჩუნებლად, სწავლის განმავლობაში, აუცილებელია შეინარჩუნო კარგი ნიშნები, ანუ საშუალოდ B (from A to C scale).

– მამა, ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის შესახებ. როგორც ცნობილია, საზღვარგარეთ, ასეთი მაღალი რანგის სასწავლებლებში ლექციების წასაკითხად ცნობილ ადამიანებს იწვევენ, ვინ არიან ისინი?

ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტი კერძო უმაღლესი სასწავლებელია, რომელსაც მსოფლიოში ერთ-ერთ ნამყვან კვლევით და აკადემიურ დაწესებულებად მიიჩნევენ და რანგით ამერიკის ყველაზე პრესტიჟულ უნივერსიტეტთა რიგშია. ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტში ასწავლიდნენ ფრანსის ფუკუიამა და პოლ ვოლფოვიცი, მსოფლიო ბანკის ყოფილი ხელმძღვანელი.

– ალბათ, თავის დროზე, აქ ბევრი ცნობილი ადამიანი სწავლობდა...

ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტი ამერიკის ერთ-ერთი პირველი სკოლაა დიპლომატებისთვის, რომლის ერთ-ერთი წარმატებული სახეა მადლენ ოლბრაიტი.

– ასეთი მაღალი დონის სასწავლებელში, შესაბამისად, კონკურენციაც მაღალია, რას ენიჭება განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა?

სწავლის დონე მართლაც ძალიან მაღალია, ამიტომ გინევს ჯგუფებთან კონკურენცია, რათა შეინარჩუნო მაღალი ნიშნები. დიდი



მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად კარგად წერ.

– სწავლის პერიოდში, ხომ არ მოგიწია სასწავლებლიდან რომელიმე ქვეყანაში წასვლა? კერძოდ სად და რას აკეთებდი იქ?

დიახ, კვლევითი გრანტები და საზაფხულო სტიპენდიები მქონდა მაროკოში, ესპანეთში და მექსიკაში, ეს დიდი ბედნიერება იყო.

– როგორც ცნობილია, უცხოეთში, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის დაწესებულებაში რეგისტრაციის შედეგად, უცხოელ სტუდენტებს, სწავლის პირველივე წლიდან უფლება აქვთ იმუშაონ ნახევარ განაკვეთზე, გქონდა მუშაობის შესაძლებლობა?

დიახ, ნახევარ განაკვეთზე მუშაობის უფლება ყველა სტუდენტს აქვს. პირადად მე, სწორედ ასე ვფარავდი საცხოვრებლის გადასახადს.

– როგორია შენი ამერიკული ცხოვრება, სად და როგორ ატარებ თავისუფალ დროს? როგორ ცხოვრობენ ახალგაზრდები, რა არის მათთვის ყველაზე პრიორიტეტული?

ამერიკაში პრიორიტეტული კარიერის გაკეთებაა. ამასთან ერთად,

ყველა როგორღაც ასწრებს სავარჯიშო დარბაზებში სიარულს, რომ კარგ ფორმაში იყვნენ. მე ამჟამად ვაშინგტონში ვარ, სადაც პრიორიტეტული ალბათ პოლიტიკური მეცნიერება და საერთაშორისო განვითარება – International Development.

თავისუფალ დროს მეგობრებთან ვატარებ – გამორჩეულად მეგობრულები არიან ახალგაზრდები ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან, ჩვენსავით თბილი ხალხია. აქ ესპანური მეორე ენაა, ასე რომ, თუ ისწავლი გამოგადგება.

– მომავალი როგორ გეხსება, სად აპირებ დამკვიდრებას? ამჟამად მსოფლიო ბანკში ვმუშაობ. ალბათ, რამდენიმე წელი ისევ აქ ვეცდები საშუალო გამოცდილების შექმნას და შემდეგ დაფურუნი დები სამშობლოს.

– როგორ ფიქრობ, საზღვარგარეთ მიღებული განათლება და დიპლომი საქართველოში დასაქმებაში ითამაშებს თუ არა გადამწყვეტ როლს?

დიპლომიც და ალბათ უფრო საშუალო გამოცდილება, ვფიქრობ, ძალიან დამეხმარება.



ქართული, როგორც მეორე ენა

ვამაყობ ამ პროექტში მონაწილეობით

მე ვარ პროექტის „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ მონაწილე. მეორე წელია, რაც ვცხოვრობ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ ხანჩალში. ერთ-ერთი იმ პირველთაგანი ვიყავი, ვინც ჯავახეთისკენ გამოემგზავრა.

აქაურობა სრულიად უცხო იყო ჩემთვის. ეს საზოგადოება მიუჩვეველია უცხო პირებთან

ურთიერთობას და ამიტომ თავიდან ურთიერთობაში დისტანციას იჭერდნენ, მოსწავლეებიც ყურადღებით მაკვირდებოდნენ უცხო მხაროდან მოსულ ადამიანს. მაგრამ ეს ურთიერთობა ძალიან მალე შეიცვალა და ისე მიმიღეს, თითქოს დიდი ხანია ვიცნობდით ერთმანეთს.

თავიდან ბავშვები გაკვირვებული სახით მიყურებდნენ. ვერაფერს იგებდნენ და ადგილობ-

რივი მასწავლებლის თარგმანს ელოდებოდნენ მშობლიურ ენაზე. სიმართლე რომ ვთქვა, თავიდან ვიფიქრე, ტყუილი შრომა იქნებოდა, მეგონა ვერაფერს ვასწავლიდი მათ. მაგრამ რაოდენ გასაკვირდაც არ უნდა მიიჩნიოთ, მალევე დავიინახე მათ თვალში დიდი მონდომება. საოცარი განცდაა, როცა ხედავ თუ როგორ ცდილობს მოსწავლე გეკონტაქტოს ქართულად, იყენებს ჟესტების ენას და მინიმალური ლექსიკით ცდილობს გაგაგებინოს რამე. იმდენად დიდი იყო მათი სურვილი ესაუბრათ ქართულად, რომ რამდენჯერაც შემხვდებოდნენ, მესალმებოდნენ და მემშვიდობებოდნენ. ახლა ჩემს მოსწავლეებს ესმით ქართული და შეძლებისდაგვარად ამყარებენ კომუნიკაციას.

ეს პროექტი მნიშვნელოვანია. ჩვენ ვასწავლით ქართულ ენას, ვაცნობთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს, ვესაუბრებით მათ საქართველოზე და ჩვენს ტრადიციებზე. მოსახლეობისა და მოსწავლეების უმრავლესობა არ იცნობდა ქართველ ერს, სრულიად არ ჰქონდათ სახელმწიფოებრივი განცდა. ისინი მიტოვებულად გრძნობდნენ თავს. მაგრამ სახელმწიფოს მიერ გამოჩენილი ყურადღებით, ჩვენი აქ ჩამოსვლითა და სხვადასხვა პროექტების განხორციელებით, მათ თავი ქვეყნის შვილებ-



ბად იგრძნეს. სწორედ ამ გრძნობამ გააორმაგა ენის შესწავლის სურვილი. ჩემთან ყველა ასაკის ადამიანი მოდის და მთხვავს ვასწავლო ქართული – ეს უკვე წინ წაგდებული ნაბიჯია.

ვამაყობ, რომ მონაწილეობა მივიღე ამ პროექტში. ვთვლი, მივალნიე მიზანს – ჩემს მოსწავლეებს ესმით და საუბრობენ ქართულ ენაზე...

თამარ ქართველიშვილი
პროექტის „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ მონაწილე



განათლება დალის (კოდორის) ხეობაში

მასტანგ ბასვიანი

აფხაზეთის ა/რ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე 1985-2005 წლებში

კავკასიონიდან განმტკობულ ქედებს შორის, მდინარე კოდორის ზემო წელში მდებარე ტერიტორიას სვანები უხსოვარი დროიდან დალს, დალის სვანეთს ეძახდნენ. ასევე გავრცელდა ეს სახელწოდება სხვა ენებში. ამ მხარის საბჭოთა პერიოდის სახელი – აფხაზეთ-სვანეთი – ხელოვნურად იყო შექმნილი და მას ისტორიულ სინამდვილესთან არაფერი საერთო არ აქვს. სვანეთის დიდმა მოამაგემ და მკვლევარმა – ეგნატე გაბლიანმა 1925 წელს გამოაქვეყნა წიგნი – „ძველი და ახალი სვანეთი“. ამ ნაშრომში ერთი თავი – „პატარა სვანეთი და მისი ეკონომიკური მნიშვნელობა“ ეძღვნება დალს. ის ამ მხარის შესახებ წერს, რომ პატარა სვანეთი ჰქვია სვანების ამ დასახლებას.

არასწორი იყო სოხუმის დაცემის შემდეგ ამ ადგილისათვის ახალი სახელწოდების – კოდორის ხეობის დარქმევა, რაც მდინარესთან – ჰიდრონიმთან არის დაკავშირებული. ხეობა მდინარის სათავიდან შესართავამდე. კონკრეტულ შემთხვევაში იმ ტერიტორიაზე საუბარი, რაც ამ მდინარის ზემო წელში მდებარეობს და ისტორიულად, ქართულად „დალ“ ჰქვია. როცა ამას გვერდს ვუვლით, ვკარგავთ ძირძველ ქართულ ტოპონიმს და საშუალებას ვიძლევი, სადავოდ გავგზავოთ ამ ტერიტორიის სახელის ქართული წარმომავლობა და კუთვნილება.

ვიდრე შემოთავაზებულ თემას შევხებოდე, აუცილებელია მცირედენი ისტორიული ექსკურსი გავაკეთო. ქრისტიანობამდე მესამე საუკუნეზე ადრე, საურმაგის მამის, ფარნავაზის დროს, სვანეთი საერისთავო ყოფილა, რიონის დასავლეთით. ძველი ბერძენი გეოგრაფის სტრაბონის აღწერით, სვანეთი ვრცელ მხარეს წარმოადგენდა, შავი ზღვისპირეთიდან – დიოსკურიდან კავკასიონის ქედის ჩრდილოეთამდე. მასში დალიც – მაშინდელი მისიმიანეთიც შედიოდა. არა მგონია, სტრაბონს ეს რომელიმე ხალხის სიმპათიის ან ანტიპათიის გამო დაენერა. ტოპონიმიკაში შემორჩენილია შორეული წარსულის კვალი – „ცხუმი, სოხუმის ძველი სახელი, სვანურ სოფელს ცხუმარს შემორჩა“ (აკაკი გელოვანი).

მეექვსე საუკუნეში დალის ხეობაში სვანური ტომი – მისიმიანები ცხოვრობდნენ. ამ ხეობაზე გადიოდა ერთ-ერთი უმოკლესი გზა, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიას შავ ზღვასთან აკავშირებდა, ამიტომ დიდი სამხედრო და საკომუნიკაციო მნიშვნელობა ჰქონდა. VI საუკუნეში ამ ხეობის დაპყრობა ბიზანტიელებმა მოინდომეს. პირველ შეტაკებაში ისინი დამარცხდნენ, მეორე შემოსევის დროს, 555 წელს, დიდი ბრძოლის შემდეგ, მისიმიანები დაამარცხეს. ბიზანტიელებმა ეს მხარე სასტიკად ააოხრეს, მოსახლეობის ნაწილი ამოწყვიტეს, ნაწილი გაიხიზნა ზემო სვანეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში.

სვანურმა ზეპირსიტყვიერებამ ბევრი საინტერესო მასალა შემოგვინახა, რაც კარგად ასახავს დალთან ურთიერთობას. პროფესორი თემურ მიბზუანი ამ მხარის შესახებ წერს: „დალ კოდორის სათავიდან მთელი ხეობის სახელწოდებაა, ე.ი. მოიცავს მთლიანად ისტორიულ მისიმიანეთს. მისიმიანეთიდან ზემო სვანეთში გადასასვლელს „დალია თანად“ (დალის უღელტეხილი) და „დალია კოჯარ“ (დალის კლდეები) ეწოდება. დალი სვანურ ლეთაებათა პანთეონში ნადირობისა და მონადირეთა მფარველ ქალ ღვთაებადაა ცნობილი. მკვლევართა აზრით, იგი მატრიარქატის ხანის რელიგიური კულტების რიგს განეკუთვნება. ამრიგად, ამ ხეობის სახელწოდება უძველესი დროიდან მომდინარეობს. დალის კულტის მატარებლები არიან დღევანდელი სვანებიც“ (თ. მიბზუანი, „აფხაზეთის ისტორია“, გვ. 108).

დალის ხეობას სვანები უცხო ადგილად არასოდეს აღიქვამდნენ, წინაპართა კუთვნილ ადგილად მიიჩნევდნენ, როგორცაა ქვემო სვანეთი – ლენტეხის რაიონი. ამიტომ წინაპართა ნასახლარზე დაბრუნება სვანებისათვის ფსიქოლოგიურად რაიმე სირთულე არ წარმოადგენდა. კონკრეტულ ცნობას სვანების დალში დასახლების შესახებ გვანვდის ცნობილი მეცნიერი, პროფესორი გერონტი გასვიანი: „მე-19 საუკუნის შუახა-

ნებში აფხაზეთის სვანეთში 100-მდე კომლი გადასახლდა“ (გ. გასვიანი – „ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან“, თბილისი, 1991 წ., გვ. 19). სვანეთის 1875-1876 წლების აჯანყების შემდეგ აქ ზემო სვანეთიდან ბევრი სვანი დასახლდა. ამ პერიოდში აქ დასახლებული, 1876 წლის ხალდეტრაგედიის შემდეგ (მეფის რუსეთის მიერ განადგურებული სოფლიდან), გასვიანების, ჩოფლიანებისა და ქოჩქიანების რამდენიმე ოჯახი.

სვანურ ხალხურ სიმღერას „დალ კოჯარს ხელვაჟალე“ („დალი კლდეზე მშობიარობს“) სვანეთში ბავშვობის ასაკიდან მღერიან, ისევე როგორც „მირანგულას“, „შინაორგისა“ და ბევრ სხვას. „დალი ეწოდებოდა ამ მხარეს სვანების ხელმეორედ ჩამოსახლებამდე, ე.ი. XX საუკუნის დასაწყისამდე. ამაზე მეტყველებს ლიულეს ცნობაც, რომელიც XIX საუკუნის 50-იან წლებს ეკუთვნის. ის ამ მხარეს დალს უწოდებს. ამ კუთხის ასეთი სახელი მისიმიანთა სვანურობის ხელშეუვალი არგუმენტია, მით უმეტეს, რომ ტერმინი „დალი“ უცხოა აფხაზეთისათვის“ (თ. მიბზუანი, „აფხაზეთის ისტორია“, გვ. 108).

დალი ყურადღების გარეშე არც აფხაზეთის ეპისკოპოსს (1861-1868 წწ.) წმინდა მღვდელმთავარ ალექსანდრე ოქროპირიძეს დაუტოვებია. საქართველოს ეგზარქოსის ევსევის სახელზე „აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის შესახებ“ გაგზავნილ მოხსენებაში ის წერს: „აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელს სასულიერო პირები მთელი აფხაზეთის უზრუნველყოფა შეუძლია, მათ შორის ნებდების, დალის სამურზაყანოსი...“ ეს მხარე მოხსენებული აქვს აგრეთვე „აფხაზეთის ეპარქიის სტატისტიკურ აღწერაში“, რომელიც დათარიღებულია 1863 წლის 8 აგვისტოთი (გ. გამახარია – „წმიდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი“ – დოკუმენტების კრებული, გვ. 129-140, თბ. 2006 წ.).

კოდორის ხეობის ფართობი, რომელზეც საქართველოს იუჯისდიქცია ვრცელდებოდა 2008 წლის 10 აპრილამდე, შეადგენს 0,9 ათას კვ.კმ, რაც აფხაზეთის ტერიტორიის საერთო ფართობის, დაახლოებით, ათი პროცენტია.

როგორც აღვნიშნეთ, დალის ხეობაში ქართველი მოსახლეობა (სვანები) დასახლდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში და მეოცე საუკუნის დასაწყისში, ძირითადად, ზემო სვანეთიდან – მესტიის რაიონის სოფლებიდან. მოსახლეობის განსახლება, პირველ წლებში, ცენტრალურ სოფლებში ხორციელდებოდა: აჟარაში, გენწვიში, ომარიშარაში, პტიში, ჩხალთაში. ხეობის სხვა სოფლებში მოსახლეობის თანდათან დასახლება ხდებოდა, ერთდროულად მოსახლეობა ხეობის ყველა სოფელში არ დასახლებულა. XX საუკუნის 40-იან წლებში 23 დასახლებული პუნქტი ჩამოყალიბდა.

პირველი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები ხეობაში საბჭოთა პერიოდში დაარსდა. 30-იან წლებში ფუნქციონირებდა სამი სკოლა: აჟარის საშუალო, მარჯვენა გენწვიშისა და ომარიშარის დაწყებითი სკოლები. აჟარის საშუალო სკოლის დირექტორებად მუშაობდნენ: პავლე არღვლიანი, გრამიტონ გურჩიანი, სიდონია გულბანი, კლიმენტი დევდარიანი, ალექსანდრე კურდელია, ვახტანგ კორძაია (1963-1970 წწ.), მელიქ გულბანი (1971-80 წწ.), რუსუდან პირველი (1980-2008 წწ).

მარჯვენა გენწვიშის დაწყებითი სკოლა 40-იან წლებში გადაკეთდა შეიღწილიან სკოლად, რომლის დირექტორები იყვნენ: პიმენ პირველი და გოგუცა ავალიანი. 1945 სასწავლო წელს სკოლა კვლავ რეორგანიზებულ იქნა დაწყებით სკოლად, რომლის გამგედ, 1945 წლიდან 2006 წლამდე, მუშაობდა ბიძინა ქოჩქიანი, 2008 წლამდე – ლია მერლანი. 1988 წელს, ბიძინა ქოჩქიანის თაოსნობით, აშენდა სკოლის შენობა, რაშიც დიდი დახმარება გაუწია გულრიფშის რაიონის ხელმძღვანელმა დავით გვაძაბამ.

30-იან წლებში ჩხალთაში იყო დაწყებითი სკოლა, გამგე – არტემ ხარებავა. 40-იან წლებში გადაკეთდა შეიღწილიან სკოლად. დირექტორებად მუშაობდა კონდრა არქანი, შემდეგ – ამაზო გურჩიანი, რომელიც შეცვალა ესტატე ნარსავიძემ, შემდეგ დირექტორად დაინიშნა ზურაბ გურჩიანი (1985-2008 წწ).

სოფელ პტიში თავიდან 8-წლიანი სკოლა

ფუნქციონირებდა, დირექტორი – ესტატე ნარსავიძე. 1962 წლის ძლიერი მიწისძვრის შემდეგ მოსახლეობის დიდი ნაწილი საცხოვრებლად სხვაგან გადავიდა. ომარიშარის დაწყებითი სკოლა 30-იანი წლებიდან ფუნქციონირებს, მისი გამგეები იყვნენ: არტემ ხარებავა, დიანოზ ფარჯველიანი, ბაჩჩი ქალდანი, შემდეგ წლებში – ყორყი დევდარიანი, საკენის დაწყებითი სკოლის გამგე იყო კონია ჩხეტიანი.

1935-1939 წლებში სკოლების მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდა. აშენდა ჩხალთის, პტიშის, ზემო აჟარის, მარჯვენა გენწვიშის, გვანდის, ომარიშარის, საკენის, ნაჰარის სკოლები. 1940 წელს კი მოსახლეობამ თავისი სახსრებით ააშენა მარცხენა გენწვიშის ტიპური სკოლის შენობა, სადაც სასწავლო პროცესისათვის კარგი პირობები შეიქმნა და მოსწავლეების ნაწილის აქ გადასვლა განაპირობა. ამ სკოლის დირექტორებად მუშაობდნენ: პიმენ პირველი, ვანო ქირია, ჟორა გაბრიაძე, ქეთო გურჩიანი, მუშნი ბერიანი, ჩამა ჯაჭვლიანი, კონფლიქტის წინა პერიოდში – ფოად ჯაჭვლიანი, დევნილობის პერიოდში გივი ჩოფლიანი, 2004 წლიდან – თამარ წერეთიანი.

სკოლების მატერიალური ბაზა საავალალო მდგომარეობაში იყო. ამის შესახებ საინტერესო ცნობას გვანვდის მარჯვენა გენწვიშის დაწყებითი სკოლის გამგე – მასწავლებელი ბიძინა ქოჩქიანი: სკოლა იყო განთავსებული რუსი კოლონისტების მიერ აშენებულ ხის სამოთახიან შენობაში, რომელიც იმ დროს ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელ საგზაო ფოსტის როლს ასრულებდა. შენობის ყველა ოთახში წვიმა ჩამოდოდა, კედლებიდან ბათქაში იყო ჩამოცვენილი, მიწები ჩამსხვრეული ჰქონდა. ასეთ პირობებში ბავშვების მეცადინეობა შეუძლებელი იყო.

ამ სკოლის გამგედ დანიშნვის შემდეგ ბიძინა ქოჩქიანმა დახმარებისათვის მიმართა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს, ლენინგრადის ბლოკადის მონაწილეს, ბატონ ვახტანგ კორძაიას. მისი დახმარებით შენობას ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები, გადაიხურა და მეცადინეობის დაწყება შესაძლებელი გახდა. მარჯვენა გენწვიშში თავიდან დაწყებითი სკოლა ფუნქციონირებდა, სადაც ხუთი სოფლიდან დადიოდნენ ბავშვები, ამ პერიოდში ასწავლავდნენ გრამი და კოლია ქოიავები, რომლებსაც აქაური მცხოვრებლები დღესაც კეთილად იხსენებენ. მათ დიდი მუშაობა ჩაატარეს, ასაკგადაცილებული ბავშვები სკოლაში რომ ჩაებათ. ბევრ აქაურ მკვიდრს მისცეს ზოგადი განათლების მიღების საშუალება. მათ სკოლაში თავიანთი ინიციატივით შეიყვანეს გრამიტონ გურჩიანი, დაამთავრებინეს დაწყებითი, შემდეგ – საშუალო სკოლა. ამის შემდეგ ის ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში და მშობლიურ სოფელში ჯერ მასწავლებლად, შემდეგ კი დირექტორად მუშაობდა.

დალის ხეობის სკოლებში ბევრი ღირსეული პიროვნება მუშაობდა, მათ დიდი წვლილი მიუძღვით სკოლების ქსელის ჩამოყალიბებაში, მოსახლეობაში განათლებისა და ცოდნის გავრცელებაში. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მოსახლეობის 98% წერა-კითხვის უცოდინარი იყო. აქ, ისევე როგორც საქართველოს სხვა რაიონებში, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის ჩატარდა შესაბამისი ღონისძიებები. სოფლის მასწავლებლები, სკოლაში მუშაობის გარდა, მოსახლეობაში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდნენ: ნერა-კითხვის გავრცელება, პოპულარულ თემებზე საუბარი, ლექციები სამეურნეო და კულტურის საკითხებზე, ასევე დრომოჭმულ ტრადიციებისა და ჩვეულებების წინააღმდეგ. როგორც ბიძინა ქოჩქიანმა განაცხადა, თითოეული მასწავლებელი მიმავრებული იყო ამა თუ იმ სოფელზე, მის რომელიმე უბანზე და კვირაში ერთი დღე ასეთ მუშაობას უანგაროდ ასრულებდა. ბევრჯერ დიდ-თოვლიან ზამთარში ადგილზე მისვლაც გვიჭირდა.

მოსახლეობაში დღემდე დიდი პოპულარობით და ავტორიტეტით სარგებლობენ: კლიმენტი დევდარიანი, პიმენ პირველი, ესტატე ნარსავიძე, ამაზო გურჩიანი, მელიქ სადეტ გულბანი, ჩამა და ფოად ჯაჭვლიანები და ბევრი სხვა. მათ დიდი წვლილი აქვთ შეტანილი ახალგაზრდა თაობის სწავლა-განათლების საქმეში.

მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო ვახტანგ კორძაიას მოღვაწეობა: მეორე მსოფლიო ომისა და ლენინგრადის ბლოკადის მონაწილე, ომის დამთავრების შემდეგ, მუშაობდა აჟარის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ, სკოლის დირექტორად, იყო ნიჭიერი პოეტი. მის კალამს ეკუთვნის ბევრი საინტერესო ლექსი, პუბლიცისტური ნარკვევი, ეთნოგრაფიული წერილი. დალის ხეობის საჭირობოტო საკითხებზე ზმირად იბეჭდებოდა მისი კრიტიკული წერილები რაიონულ, საოლქო და რესპუბლიკურ გაზეთებში. დიდი წვლილი მიუძღვის ხეობის მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაში, ბევრი ახალგაზრდა ჰყავს დაკვალიანებული და სწორ გზაზე დაყენებული. აფხაზეთის კონფლიქტის დროს ხეობის დაცვაში მისი შვილები აქტიურად იყვნენ ჩართულნი.

მოსახლეობაში მრავალმხრივი და ნაყოფიერ საქმიანობას ეწეოდა აჟარის საშუალო სკოლის მასწავლებელი – თამაზ კორძაია. განსაკუთრებით ეს გამოჩნდა რევოლუციური მოძრაობის პერიოდში. ის ამ რეგიონში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის – „ლემის“ – ერთ-ერთი დამფუძნებელი და შემდეგ თავმჯდომარე გახლდა.

დალის ხეობის განათლების სისტემის არა ერთი თაობის ნაყოფიერი მუშაობის შედეგია სკოლების სტაბილური ქსელის ჩამოყალიბება, რამაც გვემაზომიერი ხასიათი XX საუკუნის 30-იან წლებიდან მიიღო. 50-იან წლებში კი თითქმის ყველა მსხვილ დასახლებაში სკოლები ფუნქციონირებდა. აქაურ მცხოვრებლებს საშუალება მიეცათ ადგილზე მიეღოთ საშუალო განათლება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აჟარის საშუალო სკოლასთან ფუნქციონირებდა ინტერნატი ბავშვებისთვის, რომლებსაც ზამთრის პირობებში შორს მდებარე სოფლებიდან სკოლაში სიარული უჭირდა.

აფხაზეთის კონფლიქტამდე, ხეობის სკოლებში სტაბილური პედაგოგიური კოლექტივები ჩამოყალიბდა, სადაც ძირითადად ადგილობრივი კადრები მუშაობდნენ. სასწავლო დაწესებულებები ჩართული იყო განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებში. აფხაზეთის კონფლიქტის დროს – 1992-1993 სასწავლო წელს ხეობაში სკოლები მუშაობას აგრძელებდნენ, თუმცა ტყვეარჩელის მხრიდან იყო ამ ტერიტორიაზე შემოჭრის მცდელობა, რაც ადგილობრივი ძალებით აღკვეთილ იქნა, ამას სკოლების ფუნქციონირებისათვის ხელი არ შეუშლია. პროვოკაციები ხდებოდა ასევე 1993 წლის გაზაფხულზე. 1993 წლის ივნისის ბოლოს აჟარა-სოხუმის გზაზე, სოფელ ლათას მიდამოებში ავტომანქანას, რომელსაც მგზავრები მიჰყავდა, ნაღმყორცინიდან ესროლეს, რამდენიმე ადამიანი დაიჭრა, მათ შორის მძიმედ იყო დაჭრილი გენწვიშის საშუალო სკოლის დირექტორი ფოად ჯაჭვლიანი, რომელიც სასწავლო წლის შედეგების ჩასაბარებლად და სკოლადამთავრებულებისათვის ატესტაციების ასაღებად გულრიფშის განათლების განყოფილებაში მიემგზავრებოდა. ასე დაძაბულ ვითარებაში ყველა სკოლამ სასწავლო წელი ბოლომდე მიიყვანა. სკოლების დირექტორებმა (აჟარის – რუსუდან პირველმა, გენწვიშის – გივი ჩოფლიანმა, ჩხალთის – ზურაბ გურჩიანმა, მარჯვენა გენწვიშის – ბიძინა ქოჩქიანმა, ომარიშარის – ყორყი დევდარიანმა და სხვებმა) ზაფხულის თვეებში წესრიგში მოიყვანეს შენობები, ინვენტარი.

მათ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილი განათლების სამინისტროს წინაშე დააყენეს საკითხი 1994-1995 სასწავლო წლის განახლების შესახებ, რაშიც მხარდაჭერა მიიღეს. საკითხის მოგვარებას დიდი პოლიტიკური და მორალური დატვირთვა ჰქონდა. ქვეყნის წინაშე დამსახურებად უნდა ჩაეთვალოთ ის ყურადღება, რასაც საქართველოს ცენტრალური და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება 15 წლის განმავლობაში იჩენდნენ კოდორის ხეობის მიმართ. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1996 წლიდან კოდორის ხეობის მოსახლეობის სოციალური დახმარების გაცემის გადაუდებელი ღონისძიებების შესახებ პრეზიდენტმა 4 ბრძანებულებამ გამოსცა, შეიქმნა აგრეთვე პრეზიდენტის რწმუნებულის ინსტიტუტი. აფხაზეთის ხელისუფლებამ კოდორის ხეობის თაობაზე არა ერთი დადგენილება მიიღო და მუშაობის უკეთესად

ორგანიზების მიზნით შტაბიც შექმნა.

თბილისში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო სტრუქტურების ფუნქციონირების აღდგენის პირველივე დღიდან კოდორის ხეობის განათლების მუშაკების მუშაობისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სასწავლო პროცესის განახლება აფხაზეთის დევნილი განათლების სამინისტროს ყურადღების ცენტრში იყო.

1993 წლის ნოემბრიდან აფხაზეთიდან დევნილ ყველა განათლების მუშაკს, მათ შორის კოდორის ხეობის სკოლების მასწავლებლებსაც, 1993-94 წლის განაცდური ხელფასი მიეცათ. განათლების სამინისტროს ხელმძღვანელების (ჯანო ჯანელიძე, ვახტანგ გასვიანი) მიერ ადგილზე მდგომარეობის შესწავლის შემდეგ, 1994 წლის სექტემბრიდან, მუშაობა განაახლეს გენწვიმის ერთმა საშუალო და ოთხმა დაწყებითმა სკოლამ, აჭარისა და ჩხალთის საშუალო სკოლებმა. მაშინ როცა ქვეყანაში მიმდინარეობდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რეფორმა - სკოლების გამსჯელება, 1995 წელს, ჩხალთის 9-წლიანი სკოლა საშუალო სკოლად გადაკეთდა. გათვალისწინებულ იქნა რა ხეობის მოსახლეობის მიმდევრობითი დემოგრაფიული მდგომარეობა, შენარჩუნებული იყო 6 დაწყებითი სკოლა, სასკოლო ინტერნატი, მიუხედავად იმისა, რომ დაწყებითი სკოლების ცალკეულ კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა ნორმაზე გაცილებით ნაკლები იყო. ომის პერიოდში სასკოლო ასაკის ბევრი ახალგაზრდა, სხვადასხვა მიზეზის გამო, ჩამოშორდა სკოლას, აჭარისა და გენწვიმის საშუალო სკოლებთან, 1996 წლიდან, გაიხსნა სალამოს ცვლის კლასები. მოსწავლე ახალგაზრდობის თავისუფალი დროის გამოყენების მიზნით, 1998 წლის სექტემბრიდან, სამივე საშუალო სკოლის ბაზაზე, გაიხსნა ორ-ორი წრე სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განკარგულებით, 1996 წელს, ხეობის სკოლების მოსწავლეებისათვის სასკოლო სახელმძღვანელოების შესაქმნად, გამოცემულა „განათლება“ ჩაერიცხა 8170 ლარი. ამ ღირებულების სახელმძღვანელოები ხეობაში იმავე წელს იქნა ჩატანილი. სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორებთან კარგმა ურთიერთობამ საშუალება მოგვცა, 1997 წელს კერძო ავტორის მ დასახელების (თითოეული 30-50 ეგზემპლარი) სახელმძღვანელო უფასოდ მიგვეწოდებინა ხეობის მოსახლეობისათვის. ამასთან უნდა აღინიშნოს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპა-ამერიკის კოთედრის გამგის, ახალი და უახლესი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორის - კოტე ანთაძის ინიციატივა, რომელმაც ხეობის სამივე საშუალო სკოლის მოსწავლეებს საჩუქრად სამი ათასი ლარის ღირებულების ზემოთ დასახელებული წიგნები გაუგზავნა. ამ მიმართულებით ვმუშაობდით სხვადასხვა ორგანიზაციებთან. სამინისტროს წინადადებით, „ღია საზოგადოება საქართველომ“, 1998 წელს, 6700 ლარის სახელმძღვანელო შეიტანა ხეობაში. ჰუმანიტარულმა ორგანიზაციამ „იუნისეფმა“ კი სამინისტროს გამოუყო სასკოლო ნივთების 250 კომპლექტი, აქედან ხეობის სკოლებმა მიიღეს 40 კომპლექტი, თითოეულში - 150 რვეული, 100 კალამი. გამოცემულა „ინტელექტმა“ (დირექტორი - კახა კუდავა) ხეობის სკოლებს 10 დასახელების 30-30 ეგზემპლარი წიგნი გაუგზავნა.

ომის პერიოდში განადგურდა სკოლების მატერიალური ბაზა, დაზიანდა ძირითადი შენობები, სასკოლო ინვენტარი, სასკოლო ბიბლიოთეკები, კლას-კაბინეტები და ლაბორატორიები. სკოლების ფუნქციონირების აღსადგენად აუცილებელი იყო მიმდინარე, მცირე სარემონტო სამუშაოების ჩატარება, რაც 1994-95 წლებში განხორციელდა. ამ სამუშაოების შესასრულებლად აფხაზეთის მინისტრთა საბჭომ გამოუყო ჩხალთის საშუალო სკოლას 5477 ლარი, გენწვიმის - 3178 ლარი, აჭარის - 4990 ლარი.

1998-99 სასწავლო წელს ხეობაში მუშაობდა სამი საშუალო და ექვსი დაწყებითი სკოლა, სადაც 400-მდე მოსწავლე სწავლობდა, მუშაობდა 130 განათლების მუშაკი. მართალია ამ სასწავლო წელს საშუალო სკოლის სრული კურსი დაამთავრა 90-მა მოსწავლემ, მათ შორის სალამო ცვლის 50-მა ახალგაზრდამ, არასრული საშუალო სკოლა კი 30-მა მოსწავლემ. სკოლის არსებული ქსელი შემდგომ წლებშიც შენარჩუნდა.

დასასრული შემდეგ ნომერში

სასკოლო ღონისძიება

გაზაფხული შემოსულა ლენ!

ასე ერქვა მუსიკალურ ღონისძიებას, რომელიც №219 საჯარო სკოლის მუსიკის მასწავლებელმა ქეთი გოგოჭურმა ჩაატარა VIII კლასში (დირექტორი - შალვა ხუციშვილი).

ღონისძიებას ესწრებოდნენ უფროსკლასელი მოსწავლეები, მასწავლებლები და მონაწილე სტუმრები, ისან-სამგორის რაიონის რესურს-ცენტრის დირექტორი, ქალბატონი ნანა ჩეკურიშვილი, იურისტი სოფო ორდინიძე.

დარბაზი გაზაფხულის სურნელით იყო გაჟღერებული, ნაირფერი ბუშტებით გაფორმებული. მოსწავლეებიც ლამაზ ფერებში იყვნენ გამოწყობილი. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდა მუსიკალური ნომრები - ცეკვები, სიმღერები.

ღონისძიება საინტერესოდ მიჰყავდა VIII კლასის მოსწავლეს მედეა ბერიძეს. მაყურებელს დიდხანს ემახსოვრება სოლისტის ნიკა წამალაიძის მიერ შესრულებული პატრიოტული ხასიათის სიმღერები; გიტარის აკომპანემენტს ასრულებდნენ მოსწავლეები: გიორგი გოგოჭური, მიხეილ შედგინიძე და დავით ცანდოშვილი. სასაიმპროვიზო ფონს ჰქმნიდა თავად პედაგოგის მიერ პროფესიონალურად შესრულებული სიმღერები. VIII კლასის მოსწავლე გოგონებმა: მედეა ბერიძემ, ნათია ლომუხანიძემ, ნინო გავაშვილიძემ, თინათინ ჭინჭარაულმა, მარიამ ყავრელიშვილმა და დიანა ზვიადაურმა შეასრულეს ცეკვა „აჭარული“.

ღონისძიების ბოლოს დირექტორმა, ბატონმა შალვა ხუციშვილმა მადლობა გადაუხადა მონაწილეებსა და მუსიკის მასწავლებელს. დასას-



რულ, მონაწილეებმა და სტუმრებმა სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს. დამსწრე საზოგადოებას დიდხანს გაჰყვება ამ დღეს მიღებული შთაბეჭდილება.

ნანა ქაცანაშვილი დაწყებითი კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეული

თბილისის 210-ე საჯარო სკოლაში დირექტორის, ნუგზარ მოლაშვილის მხარდაჭერით, 27 მაისიდან 1 ივნისის ჩათვლით, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეული ჩატარდა.

ღონისძიების საორგანიზაციო ჯგუფში შედიოდნენ VII² კლასის მოსწავლეები: ნინო ხელაშვილი, ეკატერინე ხოსიტაშვილი, სოფო მიქვაშვილი, მალხაზ ქობულაშვილი, გაბრიელ ხელაშვილი, გიორგი ბროლაძე, ქეთევან ბერიძე, ანი მიქვაშვილი (კლასის ხელმძღვანელი - ლია შიოშვილი).

28 მაისს სკოლის „ღია დარბაზში“ მოეწყო სამხატვრო წრის (ხელმძღვანელი - რუსუდან ხმალაძე) მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა თემაზე: „მშვიდობა მსოფლიოს ბავშვებს“. გამოფენას უამრავი დამთვალიერებელი ესტუმრა. II, III, IV კლასების მოსწავლეები ცდილობდნენ ყველაზე ადრე მოსულიყვნენ სკოლაში, რათა უფრო მეტად ჩასწვდომოდნენ ნახატებით გადმოცემულ თანატოლთა ოცნებებს.

29 მაისს, დიდ დასვენებაზე, გამოფენის დარბაზში VII² კლასის მოსწავლემ სოფო ხუნდაძემ ვილინოზე შეასრულა რამდენიმე ნაწარმოები.

30 მაისს გაგრძელდა „მუსიკალური შესვენება“ - ფარნა ბერიძემ (IX¹ კლასის მოსწავლე) და ელენე ბარბაქაძემ (X² კლასის მოსწავლე), გიტარის თანხლებით

სხვადასხვა ენაზე შექმნილი სიმღერები შეასრულეს.

31 მაისს IV² კლასის მოსწავლეებმა (კლასის ხელმძღვანელი - თეა ყიფილაშვილი) საექტო დარბაზში წარმოადგინეს კომპოზიცია „ჩემი სამშობლო საქართველო“. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ძველ ქართულ სამოსში გამოწყობილი გოგონები, მღეროდნენ ლალად, ცეკვავდნენ, უკრავდნენ სხვადასხვა ინსტრუმენტზე, კითხულობდნენ ლექსებს და არწმუნებდნენ ყველას, რომ ისინი საქართველოს მომავალი არიან.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეული დასრულდა „დიდი შაბათობით“. ეკოლოგიურად სუფთა გარემოზე ზრუნვა ყველასათვის ყოველდღიური საზრუნავია. ეს კარგად იცინა 210-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, ამიტომაც VI, VII, VIII, IX კლასების მოსწავლეები მხარულად მოეფინენ სკოლის ლამაზ შემოგარენს, ირგვლივ ყველაფერი მოანერგეს, მორწყეს მწვანე ნარგავები. II, III, IV, V კლასის მოსწავლეებმა კი ფერადი ცარციტის მოხატეს სკოლის ეზოს მოასფალტებული ნაწილი.

კვირეული სკოლის ეზოში გამართული კონცერტით დაგვირგვინდა.

მარინა ბენიძე



„შემინახე, დედაო მინავ!“

ცხოვრება მუქაში მოქცეული წყალივითაა, ხელს რომ უჭერ და თანდათან გელვრება, გაგირბის. ერთადერთი, რაც ცხოვრებას გვიღამაზებს და აზრს აძლევს ჩვენს ყოფას, არის სიყვარული. სიყვარული ერთმანეთის მიმართ, ყველა სულიერი არსებისა და ბუნების მიმართ. გვიყვარდეს ერთმანეთი დედამიწელებო, პატივი ვცეთ და გავუფრთხილდეთ დედაბუნებას! დედამიწა ხომ ჩვენი სახლია!

ბიომრავალფეროვნების დღეს მსოფლიო აღნიშნავს 22 მაისს. ამ თარიღს, 5 წლის განმავლობაში, სისტემატურად აღნიშნავენ 144-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები. ბიოლოგიის პედაგოგთან ერთად, ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე ატარებენ „ბაღის ფრინველის სააის“, აკვირდებიან ფრინველებს, ადგენენ სტატისტიკას და შედეგებს აცნობენ გარემოს დაცვის სამინისტროს. ამ პროექტის ორგანიზატორია გიორგი ლებანიძე, რომელიც აქტიურად ეხმარება სკო-

ლებს საგანმანათლებლო პროცესების სწორად წარმართვაში. წელს ჩატარებულ სამუშაოს ესწრებოდა გარემოს დაცვის მინისტრი, ქალბატონი ხათუნა გოგალაძე და ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის უფროსი, ბატონი იოსებ ქარცივაძე. სიუჟეტი მომზადდა და გადაიკა ტელევიზიის სხვადასხვა არხებით.

ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღეს მიეძღვნა 144-ე საჯარო სკოლაში ჩატარებული სპექტაკლი: „შემინახე, დედაო მინავ!“. VI კლასის მოსწავლეებმა (კლასის ხელმძღვანელი - მარიკა ხუბაშვილი) ვაჟა-ფშაველას მოთხრობების პერსონაჟები გააცოცხლეს და ნაიკითხეს ბუნების ამ უდიდესი მესაიდუმლის ლექსები: „რამ შემქმნა ადამიანად“, „ჩემი ვედრება“, „ღამე მთაში“, „იას უთხარით ტურფასა“... სპექტაკლი გამოყენებული იყო ფრამენტები ნაწარმოებებიდან: „ბუბუბულის იუბილე“, „ჩიკეტა ქორნილი“, „კლდე მხოლოდ ერთხელ სთქვა“, „ია“, „მთის წყარო“, „ხმელი ნიფელი“ (სცენარის ავტორი - ქეთი ქათამაძე, მუსიკალური გაფორმება - მარინე კელეტერიშვილი, მხატვრული გაფორმება - ფიქრია შათირიშვილი, რეჟისორი - ლალი ედიბერიძე). ბავშვებმა კომპოზიცია გოდერძი ჩოხელის სიტყვებით დაასრულეს: „ყველაფერი ღვთის ნილია და ყველაფერში ღმერთი სულდგმულობს. შენც ხომ ღვთის ნილი ხარ დედამიწავ! როცა ჩემს თვალს ცის ნათელი დაეკარგება, როცა ჩამოვლევ ჩემს ნილ საწურთოს, როცა ჩაქვრები და ჩავიფრფლები... გაიხსენი ეგ საკინძე, გაიხსენი და მიმიღე, მიმიღე და შემინახე! შენ ხომ დედასავით გულუბნი ხარ! შეგვინახე, დედაო მინავ!“

გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა იოსებ ქარცივაძემ მადლობა გადაუხადა სკოლის ბიოლოგიის პედაგოგს, ლალი ედიბერიძეს სისტემატური და აქტიური თანამშრომლობისათვის და გამოთქვა იმედი, რომ მსგავსი აქტივობები მომავალშიც გაგრძელდება.

ქატი ქათამაძე 144-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი



გიაგობოტი გოდერძი როხელზე

მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის თბილისის 124-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **იზო გურგენიძე** ბევრი ორიგინალური ღონისძიებისა და პროექტის ავტორი და ორგანიზატორია. წლებადედილი სასწავლო წელიც საინტერესო და მრავალმეტყველი იყო მისი მოსწავლეებისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია პროექტი „გიაგობოტი გოდერძი როხელზე“. ეს არ იყო მხოლოდ საუბარი, არამედ ღრმა განცდილობა და სულიერი ნიადაგობით გაჯერებული შეხვედრა-საღამოები, პრეზენტაციები, ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია, რომელიც დიდხანს ემახსოვრებათ მოწვეულ სტუმრებსა და მოსწავლეებს. ფშველი პოეტი მიხეილ ღანეშაშვილი საკუთარ შთაბეჭდილებას გვიზიარებს:

„ორიოდე სიტყვით...“

კმაყოფილი და ნასიამოვნები დავბრუნდი გუშინ მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის 124-ე საჯარო სკოლიდან (დირექტორი - **დალილა ზუზბაია**). შესანიშნავი ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია მოემზადებინათ ქალბატონ იზო გურგენიძესა და მის ნიჭიერ IX კლასის მოსწავლეებს გოდერძი როხელის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. უკვე მეორედ ვიყავი ამ სკოლაში. რაღაცნაირად შემოპოლიურება, მემამყება ასეთი კარგი და ინტერესიანი ადამიანები რომ არიან იქ. რაც მთავარია, ბავშვები სამშობლოს სიყვარულს სწავლობენ. ყველაფერი სამშობლოდან იწყება და სამშობლოსთვის უნდა მთავრდებოდეს!

გოდერძი როხელის შემოქმედებისადმი სიყვარული ის ჯანსაღი გზასავალია, რომელიც ჩვენს მომავალ თაობას სწორ სულიერ ორიენტაციას არასოდეს დაუკარგავს.

ახალ-ახალი წარმატებები მინდა ვუსურვო სკოლასაც და მასწავლებელსაც!“

ქალბატონ იზო გურგენიძეს ვთხოვეთ უფრო დანერგვითი ეამბნა, როგორ ასწავლის გოდერძი როხელს.

– ჩემი მიზანი იყო მოსწავლეებს გოდერძი როხელის „უცნაური ნიგნი“ გადაეშალათ, წაკითხათ და დაფიქრებულიყვნენ. მინდოდა გაეგოთ გოდერძის სურვილი – „ეს მბრუნავი დედამინა ხელისგულზე დაესვა და ერთი წამით დაესვენებინა.“ განა შეიძლება, არ იცოდეს ქართველმა ბავშვმა „მოხევის სადღეგრძელო“ – „მღერებდნენ გაგიმარჯვას“ ან არ წაკითხოს მოთხრობა „ვიცოდი, აუცილებლად იქნებოდა აღდგომა“?

ჩვენში ხშირად ისმის კითხვა – რამ გადაარჩინა საქართველო? – ეს რომ სკოლდნოდათ ჩემს ბავშვებს, აუცილებლად უნდა წაკითხათ „მართა“. ვფიქრობ, ისინი ჩასწვდნენ ამ მოთხრობის ღედაზრს. ბავშვებს

ხშირად ვაგონებთ, რომ ყველაზე ცუდი უმადურობაა. ამიტომაც წაკითხეთ „დავინწყების მდინარე“.

„უფლისჩიტას გალობის მოსმენის გარეშე თანდათან ცივდება და უფერულდება გულში სიყვარული“, – შეგვაგონებს გოდერძი როხელი. ამავე სახელწოდების მოთხრობის წაკითხვისა და გააზრების შემდეგ, მჯერა, რომ ჩემი ბავშვები არ გაკაფავენ ტყეს, არ მოსწყდებიან ბუნების მადლს, გაუფრთხილებიან ტყის ბინადართ – მათაც ხომ უყვართ, ისინიც გრძობენ, განიცდიან...“

ჩემს მოსწავლეებს სულ ემახსოვრებათ, თბილ ქვეყნებში გაფრენის წინ, როგორ მიფრინდა გოდერძი როხელთან უფლისჩიტა, ნისკარტი ცხვირზე მიადო და უთხრა: „არ დაგავინყდეს, ყოველი საქმის წინ ილოცე და გულში ღმერთის საგალობელი იგალობე!“ (გოდერძის ეს მუდამ ასხვოდა და ასრულებდა).

ასე მგონია, „ჩემი ბავშვები მოთხრობის პერსონაჟთან – ლუკასთან ერთად შეცვივდნენ დირექტორის კაბინეტში და აპოვინენეს „ლუკას სახარება“. მერე ერთად წავიდნენ ბებია საფლავეზე და ერთად ახარეს, რომ წიგნი იპოვეს. ახლა კი, ფეხდაფეხ მიჰყვებიან ლუკასა და ნიკორას სოფლის შარაგზაზე. გზა ნათელია! „მთის მწვერვალს ოქროსფრად აელვარებს მზის სხივი“ და ეს ყველაფერი „ლუკას სახარების“ დამსახურებაა.

ფიქრობ, მოსწავლეებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ, როგორ მოევილინა ქვეყანას „ქართველების მადლების შემგროვებელი“; როდის შეიგდა მხრებზე მწერლობის მიძიმე უღელი ერთმა ღვთაებრივად თავმდაბალმა გუდამაყრელმა კაცმა, თეატრალურ ინსტიტუტში სწავლის დროს ვაჟა-ფშაველას რომ ადარებდნენ. სიყვარულით კი მას მეცხვარეს ეძახდა თავისი პედაგოგი საშა კიკნაძე. გაგონილი უნდა ჰქონდეთ როხელის გვარის შესახებ, რომ ისინი დღესაც ლოცულობენ წმინდა გიორგის სალოცავში და სიყვარულით და რწმენით განამტკიცებენ გვარის ისტორიას; რა ძალით განიცდიდა იგი ყველა ქართველის გულში დაგუბებულ ტკივილს იმის გამო, რომ საქართველოს პატარა რუკა იგლიჯებოდა და კიდევ უფრო პატარავდებოდა. ამიტომ შესთხოვდა კუზიან დედამინას – „ნუ გახდება საქართველო ნახევრის-ნახევარი და შენ, კუზიანო დედამინავ, რამდენიც გენებოს იტრი-ალეო“. მან იცოდა, რომ ლამაზი სულის გარეშე მწელი იყო დამკვიდრებულიყო დედამინაზე და ნამდვილად ასე იცხოვრა. იგი ხმამაღლა გაიძახოდა:

„ქარს გაატანეთ ჩემი სხეული, შიშველ კარჩხაზე ჩამოკიდეთ ჩემი სხეული. საქართველოსთვის! საქართველოსთვის!“

უფალს შესთხოვდა, სისხლისმემელი მტერი მოემორებინა საქართველოსთვის და გვარწმუნებდა, რომ მარადიული მხოლოდ უფლის გზა იყო.

გოდერძი როხელი თავად დაებნია „ჭრელ ღილად“ არაგვის მოლივილივე ტალღებს. ხშირად სამას არაგველს „ხერხემალში გადამტყდარი საქართველოს“ შველას სთხოვდა. საიქიოს კართან მდგარი, სთხოვდა კრწანისის გმირებს, რომ ქვეყანა არ დარჩენოდა „მტერთან წილნაყარ მელას“. ამ მიწის ბედი ხომ მისი ბედი იყო. არ უნდოდა იმ ქვეყნად სამშობლოს მომავლის ჯავრი წაეღო; ფიქრებში ისევ დავით აღმაშენებელს დაეძებდა ერის წინამძღოლად.

ჩემი მიზანია, ბავშვებს, უპირველეს ყოვლისა, სიკეთე და სიყვარული ვასწავლო. კითხულობ მოთხრობა „მგელს“ და ჩაგესმის ბედნიერი მგლის ყმული, ე.ი. სიკეთის ხმა. ჩემმა მოსწავლემ მითხრა – გოდერძი როხელმა მგელი შემეყვარაო. თავად მწერალი ამბობდა – „ეს მოთხრობა ერთი ლამაზი ამოსუნთქვააო“. შთამბეჭდავია მისი პატარა ლექსი „მინამ დაპატარა იას“. მინა სთხოვს იასს, წავიდეს, სურნელება აფრქვიოს, სინაზე აჩვენოს ხალხს, სიყვარული გაუღვივოს ვაჟსა და ქალს, თორემ გამხეცდებოდა. თქვენ წარმოიდგინეთ, იამ გაიგო, შეისმინა, დაუჯერა და ამოვიდა, მოიყვანა გაზაფხული, გააღვიდა სიყვარული.

გოდერძი როხელის სახელის შევხებენ ჩემს მოსწავლეებს, დაუფრთხონ მარტობა ეულად დარჩენილ ბებოებს. შემპირდნენ, რომ არ დადეგებს ბებია-ბაბუებთან გაატარებენ, რადგან ამ ბებოში ყველამ საკუთარი ბებია ამოიცნო.

– ქალბატონ იზო, თქვენ მიზანს მიაღწიეთ. ბავშვებს გააცანით ყველასათვის საყვარელი, საოცრად ფაქიზი სულის ადამიანის ცხოვრება და შემოქმედება. იმედია, ისინიც შეძლებენ „ბინდისფერი სეზონიდან გამოტანილი სიკეთის დანახვას“.

– მწერლის საფლავის მონახულებამ ყველას ცანსავალა გაახსენა. გამიხარდა, ე.ი. მათ გოდერძის თვალთ შეხედეს სამყაროს.

ადამიანური სევდით გულდამძიმებული მწერალი ეკითხებოდა საკუთარ თავს, – „რა არის სიცოცხლე? სიცოცხლე სევდა არის, ადამიანად ყოფნის სევდა! სიკვდილი რაღა არის? – სიკვდილიც სევდა არის, ადამიანად არყოფნის სევდა!“ ჩვენც, თავისი ნაადრევი გარდაცვალებით ადამიანად არყოფნის უსაზღვრო სევდა დავგიტოვა. როგორც თავად იტყოდა: „ნულა მოიძიებ აქაობას, აქ შენწაირებს ვერ იხდენენ.“

– თქვენი პროექტი მოიცავდა გოდერძი როხელის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ სხვა



ლონისძიებებზე დასწრებას, ოჯახის წევრების გაცნობას, იმ ადამიანებთან დამეგობრებას, ვისაც უყვარს ეს მწერალი და ცდილობს სხვებსაც გააცნოს და შეაყვაროს იგი.

– რა თქმა უნდა, ჩვენ არ შემოვიფარგლეთ მხოლოდ სასკოლო ღონისძიებებით. მოსწავლეებმა გაიცნეს და სკოლაში მოიწვიეს: მწერლის მეუღლე, ქალბატონი **ნინო მელაშვილი** და მისი ვაჟი **ლუკა როხელი**; ფილმ „ცანსავალას“ რეჟისორი **მარიამ ადამაშვილი**, ავტორი გოდერძი როხელის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ნიგნისა – „ნანილიანი“; ასევე, სკოლას სტუმრობდნენ ჩვენი სკოლა-დამთავრებული როხელები და ფშაველი პოეტები – **გელა დაიაური** და **მიხეილ ღანეშაშვილი**.

ჩვენი მოსწავლეები მიიწვიეს „ნანილიანის“ პრეზენტაციაზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ისინი სავანებოდ დამზადებული გოდერძი როხელის პორტრეტითა და გამოხატულებით გაფორმებული მაისურებით გამოცხადდნენ. ისინი უნივერსიტეტის თეატრალური დასის მონაწილეობით გამართულ სპექტაკლსაც დაესწრნენ და მიღებული შთაბეჭდილებები თავიანთ ესეებში გადმოსცეს. რეჟისორ მარიამ ადამაშვილის მიწვევით ბავშვები დაესწრნენ სამების ახალგაზრდულ ცენტრში გამართული ფილმის – „ცანსავალას“ – პრეზენტაციას. ის დღე დაუფინყარი იქნება მათთვის. იქ გაიცნეს კინორეჟისორი **რეზო ჩხეიძე**, პოეტი **ვაჟა ოთარაშვილი**, გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები, რომლებიც, პროექტის სხვა მასალებთან ერთად, გამოფინეს სკოლის ინტერიერში დევიზით: „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“.

– მართლაც, შთამბეჭდავია. ეს პროექტი ერთდროულად ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ რამდენიმე შედეგზეა ორი-

ენტრიებული. ცხადია, მხოლოდ ტექსტის შინაარსის გაცნობა არ არის საკმარისი, შემდგომი კვლევისა და ცოდნის გაღრმავებისთვის აუცილებელია მოსწავლეთა მოტივირება, რაც თქვენ შესანიშნავად შეძელით.

– ამ გაზეთის ფურცლებიდან კიდევ ერთხელ მინდა შევაქო ჩემი მოსწავლეები და წარმატებები ვუსურვო მათ, მთელ IX კლასს. მემამყება და მახარებს წიგნი **ნინო ზედელაშვილის** ავტოგრაფითა და მიწვევით: „ქალბატონო იზო, მადლობა თქვენ უსაზღვრო სიყვარულისათვის გოდერძი როხელის მიმართ“. ეს მადლობა ყველა ჩემს მოსწავლესაც ეკუთვნის, კოლეგებსაც და სკოლის ხელმძღვანელს, ქალბატონ დალილა ზუზბაიას.

– ამჟამად რომელ მწერალს ეცნობიან თქვენი მოსწავლეები?

– ჩემი მორიგი ღონისძიება ეძღვნება ყველასთვის ცნობილსა და მარად ამოუცნობ მირზა გელოვანს. კიდევ ერთი სევდიანი რაინდი მინდა სამუდამოდ აღიბეჭდოს მათ სპეტაკ, ბავშურ ცნობიერებაში. მინდა ბედისაგან დაგვარვინი პოეტის სავალი ის „უცნობი გზები გავაცნო“, რომლითაც მხოლოდ ამაღლებული სულის ადამიანები დადიან. „ნუ მწერ...“ წაკითხეს და ყველას ჯიუტად აეკვიტა სურვილი, რაიმე „მისწერონ“, ორიოდ სიტყვით შეეხმანონ იმას, ვისაც ვერასოდეს ვპატიობთ „არდაბრუნების დანაშაულს“.

წარმატებებს ვუსურვებთ ქალბატონ იზოსა და მის მოსწავლეებს. მადლობას ვუხდით, რომ კიდევ ერთხელ შეგვახსენეს მარად დაუწყინარი კაცის ფიქრები.

მარინა მამარლაშვილი
მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის თბილისის 124-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე



მიძღვნა ალექსანდრე ყაზბეგის იუბილს



წმინდა ნინოს სახელობის ქუთაისის N3 საჯარო სკოლაში ბევრი საინტერესო სასწავლო-შემეცნებითი აქტივობა ხორციელდება. მათ შორის აღსანიშნავია მე-III კლასში მომზადებული პროექტი, სახელწოდებით: „ნარსულის ნაკვალევი“, ანუ „თამარ, ქართველთა დედაო!“ პროექტი დაიგეგმა და მომზადდა ქართული ენის სერტიფიცირებული მასწავლებლის, კლასის დამრიგებლის ფატიმა ხინგავას უშუალო ხელმძღვანელობით და მიეძღვნა „თამარობის“ დღესასწაულს – 14 მაისს.

პროექტის შექმნის იდეა დაეფუძნა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და სახელმძღვანელოში მოცემულ მასალას. მოსწავლეებმა პროგრამულად შეისწავლეს იაკობ გოგებაშვილის მოთხრობები: „თამარ მეფე“ და „რუქნადინის დამარცხება“. კლასგარეშე სახელმძღვანელოდან გაცნენ ლევან სანიკიძის მოთხრობას „თამარ მეფე“. სწორედ ეს მასალა გახლდათ მაპროვოცირებელი ფართო მასშტაბის პროექტის დაგეგმვისა მე-3 კლასში. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოს პატრიარქმა 2013 წელი თამარ მეფის წლად გამოაცხადა.

ბავშვებს გაუჩნდათ ინტერესი უფრო მეტი გაეცნო ქართველთა სახელოვანი მეფეთ-მეფე თამარის შესახებ. მომზადდა სამუშაო გეგმა, გაიწერა დროში (2 კვირა), დანანილდა სამუშაო, დაკომპლექტდა ჯგუფები, დასახელდა ლიდერები, რომლებსაც დაეკისრათ პასუხისმგებლობა თავიანთი გუნდის წევრების წარმატებულ შედეგებზე. დანანილდა ინდივიდუალური სამუშაოებიც. ამასთან, უნდა მოეძიათ თამარ მეფესთან დაკავშირებული ლეგენდები, მითები, ხალხური ლექსები თუ თქმულებები.

დაიგეგმა ექსკურსია წყალტუბოს რაიონის სოფ. გეგუთში, თამარის სამეფო რეზიდენციის ნანგრევებზე, რომელიც ითვალისწინებდა მსჯელობა-საუბარს, კითხვა-პასუხის ფორმატში მუშაობას მოძიებული მასალის კვალობაზე, ლექსების მხატვრულად კითხვასა და მასწავლებლის მინი-ლექციას თამარის გეგუთის სასახლის შესახებ.

სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტის დროს თამარის რეზიდენციის დათვალიერებისა და ინფორმაციების მოძიება-მოსმენის შემდეგ, მოსწავლეებს გაუჩნდათ ახალი კითხვები თამარ მეფის პირადი ცხოვრებისა თუ სხვა საკითხების ირგვლივ. მასწავლებელმა ჩაინიშნა ეს საკითხები და ბავშვებს დაჰპირდა, რომ პრეზენტაცია-გაკვეთილზე ისტორიის ერთ-ერთ მასწავლებელს შეახვედრებდა მათ, რათა კომპეტენტური პასუხები მოესმინათ დასმულ კითხვებზე.

დაიგეგმა ღია გაკვეთილი-პრეზენტაცია თემაზე: „თამარ, ქართველთა დედაო!“ (პროექტის დახურვა) „თამარობის“ დღისათვის.

გაიშალა ინტენსიური მუშაობა მასწავლებლის სისტემატური მეთვალყურეობითა და მითითებებით.

გაკვეთილის თემა	„თამარ, ქართველთა დედაო!“
გაკვეთილის მიზანი	- დამოუკიდებელი კითხვისა და კვლევითი მუშაობის ინტერესის აღძვრა, მოსწავლეთა პროვოცირება. - თამარ მეფის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიწოდება. - თხრობისა და ლოგიკური თანმიმდევრობით დასკვნების გამოტანისა და პრეზენტაციის უნარების განვითარების ხელშეწყობა. - გამომეტყველებითი კითხვის ჩვენების განმტკიცება. - სოციალური და საკომუნიკაციო უნარების განვითარება.
შედეგების კოდი, ანუ ესგ-ით გათვალისწინებული მისაღწევი შედეგები	III.1. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის დანიშნულებისა და ადრესატის ამოცნობა მოსმენით, შეუძლია სამეტყველო ქცევის წარმართვა ადრესატის გათვალისწინებით. III.2. მოსწავლე სათაურის მიხედვით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შესაძლო შინაარსის შესახებ. ასახელებს მოსმენილ ტექსტში ასახულ ფაქტორს, პერსონაჟებს, აღწერს და ახასიათებს მოქმედ პირებს თვალსაჩინო ნიშნების მიხედვით. III.5. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის საინფორმაციო ხასიათის ილუსტრირებულ ტექსტებში თამარ მეფის შესახებ ინფორმაციის მოძიება და გაგება. III.6. მოსწავლეს შეუძლია მცირე ზომის სხვადასხვა სახისა და ჟანრის თხრობითი ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება. III.9. მოსწავლე ცდილობს უცნობი სიტყვების ახსნას კონტექსტის გათვალისწინებით. სათაურზე დაყრდნობით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შინაარსის შესახებ. წაკითხულის შინაარსის უკეთ გაგების მიზნით, გონებაში, წარმოსახვაში აცოცხლებს მას. სარგებლობს სასკოლო ბიბლიოთეკით, ავტორისა და სათაურის მიხედვით მოძიებს მისთვის სასურველ წიგნს, სახელწოდების მიხედვით – საბავშვო ჟურნალ-გაზეთებს. III. 10. მოსწავლე შესაფერისი ლექსიკის გამოყენებით ადგენს მარტივ ტექსტს (ისტორიული გარემოს აღწერა). III. 11. მოსწავლეს შეუძლია მცირე ზომის ტექსტის დამოუკიდებლად შექმნა და აზრის გასაგებად ჩამოყალიბება.
აქტივობები	ზეპირმეტყველება, წერა, კითხვა, დიალოგი. კითხვა-პასუხი სპეციალურ სტუმართან (ისტორიის მასწავლებელთან). სიმღერა, მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა; ხატვა; სიუჟეტის ინსცენირება.
რესურსები	ვიდეოკამერა, ფოტოაპარატი, კომპიუტერი მონიტორით, პოსტერები, ფურცლები, მარკერები, დაფა, გიტარა, დოლი, ბიბლიოთეკის დარბაზი.
შეფასება	დამოუკიდებელი კითხვისა და ზეპირმეტყველების, ლოგიკური თხრობის უნარები, გამომეტყველებითი კითხვა, სოციალური და საკომუნიკაციო უნარები. განმავითარებელი – სიტყვიერი კომენტარები. განმსაზღვრელი – სიგელები.
თარიღი	14.05. 2013 წელი.

გაკვეთილის მოკლე აღწერა

გაკვეთილზე სასწავლო-შემეცნებითი აქტივობების წარმოჩენის შესანიშნავი ასპარეზი გაიშალა. სასწავლო გარემო აშკარად მიანიშნებდა, რომ გაკვეთილი ისტორიულ-ლიტერატურული შინაარსის შემცველი უნდა ყოფილიყო. დაფაზე თვალსაჩინოდ მოთავსებულ სამუშაო გეგმას ერთგვარი „გზამკვლევი“ ფუნქცია ჰქონდა. მოსწავლეები ისხდნენ ჯგუფებად. მასწავლებელმა შესავალ სიტყვაში მსმენელთა აუწყა გაკვეთილის ძირითადი მიმართულებებისა და ფუნქციის შესახებ. მოსწავლეებს გააცნო ჯგუფური მუშაობის ინსტრუქტაჟი. ბავშვებმა წარმოადგინეს თავიანთი ჯგუფური ნამუშევარი:

- ♦ I ჯგუფი – თამარ მეფის წარმომავლობა და მეფედ კურთხევა.

- ♦ II ჯგუფი – თამარ მეფის პირადი ცხოვრება (იური ბოგოლეუსკი, დავით სოსლანი; შვილები – გიორგი და რუსუდანი).

- ♦ III ჯგუფი – შამქორისა და ბასიანის ბრძოლები. თამარის „საქმენი სამამაცონი“.

- ♦ IV ჯგუფი – თამარი და რუსთაველი. თამარი ხალხურ პოეზიაში.

- ♦ V ჯგუფი – ლეგენდები თამარ მეფეზე.

დაფაზე განთავსებული იყო ცხრილი „ვიცი, გავიგე, მინდა ვიცოდე“, სადაც ბავშვები გაკვეთილის მსვლელობისას ათავსებდნენ ფურცლებს სათანადო წარწერებით. მასწავლებელმა ჯგუფებს დაურიგა წინასწარ მომზადებული შეფასების ფურცლები. „მინდა ვიცოდეს“ ფორმატში ჩაერთო სპეციალურად მოწვეული სტუმარი – ისტორიის მასწავლებელი, ქალბატონი მადონა ასათიანი, რომელმაც პასუხი გასცა მოსწავლეთა დასმულ შემდეგ კითხვებს (8 წთ):

- როგორ წარმოართა თამარ მეფის შვილების ბედი?
- რა ვითარებაში გარდაიცვალა დავით სოსლანი?
- რამ დაანგრია თამარ მეფის სასახლე გეგუთში?
- სად არის დაკრძალული თამარ მეფის მეუღლე დავით სოსლანი?
- ვინ იყვნენ და რა ვითარებაში გარდაიცვალნენ შალვა და ივანე ახალციხელები?

გაკვეთილზე შესრულდა სიმღერა დები იშხნელების რეპერტუარიდან, აკაკი წერეთლის ლექსზე „სიზნარი“. („წუხელ, ღამით, მხოლოდ ძილში, ქართველ ქალთა ვნახე კრება...“) (ნატა გენაძე, სალომე სირაძე, ნინო სულამანიძე, ელისაბედ შავგულიძე). სცენაზე იყვნენ ეროვნულ სამოსში გამოწყობილი „თამარ მეფე“ (ზინი ჩხიკვაძე), ნესტან-დარეჯანი (ანანო მიმინიშვილი), თინათინი (ლიკა სვინტრაძე), „შოთა რუსთაველი“ (გიორგი როინიშვილი) თავზე წონოლა ქუდითა და ფრთის კალმით, რომელიც როლური იმიტაციით „წერდა“ „ვეფხისტყაოსანს“. მან მუხლი მოიდრია „თამარის“ წინაშე და მოწინებით მიუძღვნა საყვარელ მეფე-მეფურს „ვეფხისტყაოსანი“.

დოლის რითმულ ზმანე შთაბეჭდავად ნაიკითხეს ლეგენდა თამარის დაკრძალვის შესახებ. „რუქნადინის დამარცხებიდან“ დესპანის როლი კარგად მოიგო დარი მელქაძემ. ლექსების მხატვრულ კითხვაში თავი ისახელებს: გოგლა სიხარულიძემ, ანა მირზაშვილმა, ნინო მაღალაკელიძემ, გიორგი ახვლედიანმა, ლიზი კეკუამ, ლიზი ბარდაჩიძემ, ზინი დონდუამ.

თითოეული ჯგუფის მაგიდაზე ენყო წინასწარ მომზადებული „წერილები“ თამარისადმი, რომლებიც სიძველის იმიტაციისათვის თავად მოსწავლეებს წინასწარ მოემზადებინათ გრავილ ეტრატებზე. თითოეული „წერილი“ ერთგვარი თხოვნა-ვედრება იყო მეფე-ქალის მიმართ, რომლებიც თორნიკე ვაშაყმაძემ და რატი მესხმა ნაიკითხეს.

გაკვეთილის ბოლოს გვირგვინისაგან „თამარ მეფემ“ მოწყალება გასცა (სიმულაციური თამაშით უხვად დაარგა „ოქროსა და ვერცხლის მონეტები“ – შოკოლადის ფილები).

გაკვეთილი-პრეზენტაციის შესახებ დამსწრე საზოგადოებამ ზეპირი და წერილობითი კომენტარები გააკეთა წინასწარ მომზადებული შეფასების ბარათების გამოყენებით.

შედეგობა გამოთქვას მოსაზრება, რომ მასწავლებელ ფატიმა ხინგავას მიერ ჩატარებულმა გაკვეთილმა შესანიშნავი საფუძველი მოამზადა მოსწავლეთა ლიტერატურული გემოვნების ჩამოყალიბებისათვის, საქართველოს ისტორიისა და პატრიოტული სულისკვეთებით მათი აღზრდისა და სასწავლო-საგანმანათლებლო მართონის შემდგომი საფეხურების წარმატებით დაძლევისათვის.

მარინა არაბიძე-აზვთიანი
წმინდა ნინოს სახელობის ქუთაისის N3 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის სერტიფიცირებული მასწავლებელი



სპორტი

ბარბენი ბავშვთა დღეს

საქართველოს სასკოლო სპორტის ახალშექმნილი ეროვნული ფედერაცია უკვე შეუდგა აქტიურ საქმიანობას - 1 ივნისს ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მოახლოვდა გარბენი სახელწოდებით - „აქტიური მოქალაქის ამანათი“. ეს იყო ამანათბენი, რომელმაც სტარტი ფილარმონიასთან აიღო, ფინიში კი თავისუფლების მოედანზე იყო. გარბენში მხოლოდ სკოლები მონაწილეობდნენ და საკმაოდ ბევრმაც გამოთქვა სურვილი - 50-მდე საჯარო სკოლამ. ყოველ გუნდში 8-8 მონაწილე იყო, რომლებიც ამანათბენის პრინციპით, გარკვეულ ეტაპზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. ღონისძიებას სახელოვანი მძლეოსანი, სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი **მაია აზარაშვილი** ესწრებოდა, თუმცა ის მხოლოდ სტუმრის როლით არ შემოფარგლულა და საორგანიზაციო საკითხებში აქტიური მონაწილეობაც მიიღო - ნომრების დამზადება იქნებოდა, ჯოხები თუ სხვა საჭირო ატრიბუტიკა, უშუალოდ იყო ჩართული. ღონისძიების სპონსორები შპს „აიბიესი“ და „კაპტო-

ჯგუფი“ იყვნენ, აგრეთვე - კომპანია „ბარამბო“, რომელმაც ბავშვები საკუთარი წარმოების კანფეტებით დაასაჩუქრა, ფინანსურ მხარდაჭერას კი რადიოები - „ჯა-კო“ და „სტარ ეფემი“ უზრუნველყოფდნენ.

ეს ღონისძიება მხოლოდ გარბენი არ ყოფილა - გაიმართა შეჯიბრება ინტელექტუალურ თამაშებში, მონაწილე სკოლების მოსწავლეებმა წარმოადგინეს კულტურული პროგრამა და მათი ძალებით პატარა კონცერტიც გაიმართა; მოსწავლეებმა ასევე გასაყიდად გამოიტანეს საკუთარი ნახატები და ნაკეთობები, შემოსული თანხა კი საქველმოქმედო ფონდში გადაირიცხეს ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა დასახმარებლად.

საბოლოოდ გარბენში 168-ე საჯარო სკოლის გუნდმა გაიმარჯვა, მეორეზე 219-ე სკოლა გავიდა, მესამეზე - 98-ე. ინტელექტუალურ თამაშებში ყველას 150-ე საჯარო სკოლის მოაზროვნეებმა აჯობეს, მეორე 168-ე სკოლა აღმოჩნდა, 98-ე კი აქაც მესამეზე გავიდნენ.



ზედიზედ მორა ევროსტარტი

საქართველოს 19-წლამდე ფეხბურთელთა ნაკრებმა წარმატებით დააგვირგვინა კარგად დაწყებული საქმე და ქვეჯგუფის ბოლო მატჩიც მოიგო მასპინძელ ბელგიასთან - 2:0, რითაც ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდა.

ბელგიაში მიმდინარე ელიტ-რაუნდის შესარჩევ თამაშებში **გია ცეცაძის** დამოძღვრებულმა ჯერ პირველი სენსაცია მაშინ შემოგვთავაზეს, როცა სანჯის თამაშში ინგლისის არისტოკრატიული ფრე გაუგორეს - 1:1, მერე კი მსაჯისგან უმონყალოდ განწირულვებმა და 9 კაციტ დარჩენილებმა შოტლანდიას 3:1 სძლიეს. თუმცა ბოლო თამაშში ბელგიელებთან გამარჯვება სცდება ამ სენსაციებს და კიდევ უფრო მაღალ ხარისხში ადის - ამ მატჩში ხომ ჩვენები ორი ლიდერის გარეშე თამაშობდნენ, მასპინძლებს კი მოგება ჰაერივით სჭირდებოდათ.

ზეპრინციპულ თამაშში ქართველებს ულიდერობა არც დასტყობიათ. არადა, გაფრთხილება-გაძევების გამო ერთბაშად ხუთი ფეხბურთელი აკლდათ: **ბაჩანა არაბული, ნიკა კაჭარავა, ავთანდილ ენდელაძე, თემურ მარკოზაშვილი** და **დავით მთივლიშვილი**. ამათგან არაბული და კაჭარავა თავდამსხმელები არიან და ბომბარდირებიც იყვნენ, არაბული კი სულაც გუნდის მოტორია. ასეთი დანაკლისის მიუხედავად, ჩვენებმა შემტევ სტილს არ უღალატეს, რამაც შედეგი ორჯერ გამოიღო. პირველად ეს ბელგიელთა მეკარის კარგ თამაშს მოჰყვა, როცა ლამის პირისპირ გასულ ჩვენს თავდამსხმელს აულო. იმ მომენტში მეკარემ ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო და ბურთი შორსაც მოიგვრია, მაგრამ მისი ბრალი არაა, თუ კარიდან შორსაც მოუწია გამოსვლა, ქართველებმა შორიდან დაარტყეს, ბელგიელთა მეკარემ მოიგვრია, მაგრამ გადმოვარდნილი ბურთი **გიორგი**



ფანცულაიამ მიიღო და ცარიელ კარში შორიდან გადააგზავნა - 1:0. ცოტა ხანში ბელგიელთა მეკარემ ისევ იყოჩაღა, როცა იმავე ფანცულაიას დარტყმული პენალტი მოიგვრია, მაგრამ მასპინძლებს ანგარიშის გათანაბრება და მით უფრო, თამაშის გადარჩენა მაინც არ დასცალდათ - 78-ე წუთზე **გურამ სამუშიამ** მეტოქის საჯარიმოს მარცხენა მისადგომებიდან პირდაპირ ბელგიელთა კარის „ცხრიანში“ ჩაახვია ბურთი. ეს გოლი ცნობილი ბრაზილიური „ხმელი ფოთლის“ ანალოგი გამოდგა. შეხვედრა ასეც დასრულდა - 2:0 და ჩვენი ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდა.

„ჩვენ სამი საოცარი, სანახაობრივი თამაში ჩავატარეთ ძალიან ძლიერ მეტოქეებთან. მე ამაყი ვარ ჩემი ფეხბურთელებით. ამ შემადგენლობით ჩვენ მართლაც დიდი მომავალი გვაქვს და ევროპის ჩემპიონატზე ჩვენს სიტყვას ვიტყვი“ - განაცხადა მატჩის შემდეგ **გია ცეცაძემ**.

ეს უკვე ზედიზედ მეორე შემთხვევაა, როცა ჩვენი ასაკობრივი ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გადის - შარშან 17-წლამდელებმაც ითამაშეს და მე-

ოთხ ადგილზეც გავიდნენ. ამასობაში თვითონ 17-წლამდელები აზერბაიჯანში გამოდინან „კასპის თასზე“ და თუმცა ფინალში ვერ გავიდნენ, მაინც რეკორდული ასპარეზობა გამოუვიდათ. ამის მიზეზი პირველი ტური და ყაზახეთის ნაკრებია, რომელსაც ჩვენებმა... 13:1 მოუგეს! აქამდე ჩვენს ნაკრებს არც ამხელა სხვაობით გაუმარჯვია ოდესმე და ამდენი გოლიც პირველად გაიტანა. განსაკუთრებით იყოჩაღა **გურამ გომთელიანი**, რომელმაც პოკერი შეასრულა - 17-წლამდელებისთვის ესეც პირველი შემთხვევაა. დუბლი შეასრულა **გიორგი ბერიძემ**, თითო-თითო გოლი კი **გიორგი ჯობაძემ**, **გიორგი არაბიძემ**, **ცოტნე ნადარაიამ**, **ნიკა ლაშხიამ**, **ნიკა ქორიძემ**, **გიორგი ზარია** და **ბექა მიქელთაძემ** გაიტანეს. ჩვენებმა მეორე შეხვედრაშიც იყოჩაღეს - გომთელიანისა და ბერიძის გოლებით ბულგარულ თანატოლებს 2:0 მოუგეს და ნახევარფინალში გავიდნენ, იქ კი მასპინძლებთან პენალტების სერიამი ნააგეს და მესამე ადგილისთვის ითამაშებენ.



ქართველი **ოქსანა კალაშნიკოვა**ს და პოლონელი **ალისია როსოლსკას** წყვილმა საფრანგეთის ღია პირველობის ძირითად ბადეში 2 გამარჯვება იხიემა, მერვედფინალის დაძლევა კი ველარ მოახერხა. მე-3 წრეში ქართულ-პოლონური დუეტი მე-10 განთესვის მქონე ფრანგულ-ყაზახურ წყვილს (**მლადენოვიჩი-ვოსკობოვეა**) დაუპირისპირდა და უშანსოდ - 1:6, 1:6 ნააგო.

აღსანიშნავია, რომ „როლან გაროსის“ მერვედფინალში გასვლით **კალაშნიკოვამ** 280 სარეიტინგო ქულა გამოიმუშავა. ამჟამად, ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის (WTA) წყვილთა რეიტინგში მას 978 ქულა გააჩნია და 96-ე ადგილზე იმყოფება.



იტალიის ქალაქ ბრეშიაში მიმდინარე 25-ათასიანი ტურნირის კვალიფიკაციის დაძლევის შემდეგ, ქართველი ჩოგბურთელი **მაკა ჩახნაშვილი** ასევე კვალიფიკაციის ერთ-ერთ გამარჯვებულ **ტერეზა მარტინცოვას** (ჩეხეთი) დაუპირისპირდა და 3:6, 6:4, 3:6 დამარცხდა. შეგახსენებთ, რომ სანჯის რაუნდში გამარჯვება იხიემა **სოფო შაფათაძემ**, რომელმაც მე-7 ნომრად განთესილ **კრისტინა დინუს** (რუმინეთი) 6:1, 6:3 სძლია. მერვედფინალში სოფოს პირისპირ ჩერნოგორიელი **დანკა კოვიჩიჩი** დადგება.



ნიენის
თარო

მიმდინარეობს

ხელმოწერა



კლასიკური პოეზია



სამი
ტომის
ფასი
15 ლარი

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

ერთი
ცალის
ფასი
6.5 ლარი

- | | |
|--|--|
| 1. ცისფერი ბაღვინები - დეზა | 7. დელფოსელი სიზილა - მიქელანჯელო |
| 2. ჰორაციუსის ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი | 8. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე |
| 3. მწყობსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო | 9. უკლევი შვილის დაბრუნება - რემბრანდტი |
| 4. ადელ ბლუხ-გაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი | 10. საძანაღა - რენუარი |
| 5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმონს ვან რაინი | 11. საპირაო განცხადება, ბრან-შატის კუნძულზე - უორჰ სიორა |
| 6. მენინები - ველასკესი | |

თემატური კლასიკები
დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ძართული ანგანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პრეფიქსები
9. რიცხვები
10. სილ-პოსტნული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანგანი
18. რუსული ანგანი
19. ჩემი საძარტველო

ერთი
ცალის
ფასი
2.5 ლარი

თემატური
კლასიკები მატალი
კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საძარტველოში
3. გარეული ცხოველები საძარტველოში
4. მწერები
5. ძართული ხალხური საკრავები
6. ძვეწარმავლები საძარტველოში
7. საძარტველო მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ნიღაბი - სიტუაციის წყარო
11. ქველი რეზი
12. მსოფლიოს დროები
13. ზღვის დინებები
14. ძიშიური ელემენტების პერიოდული სისტემა
15. სამხაროს წარმოშობა
16. ძართული მეთოდის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი სოცრება

ერთი
ცალის
ფასი
3 ლარი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის

მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

- | | | |
|--------------------------|--------------------------|------------------------|
| 1. მიხეილ ჯავახიშვილი | 10. იოსებ გრიგაშვილი | 19. აკაკი წერეთელი |
| 2. გიორგი ლეონიძე | 11. პულიკარე ქაპაბაძე | 20. რუსთაველი |
| 3. ირაკლი აბაშიძე | 12. გურამ რჩეულიშვილი | 21. თეიმურაზ I |
| 4. ნოდარ დუმბაძე | 13. იაკობ ხუცესი | 22. ვახტანგ VI |
| 5. მირზა გაელოვანი | 14. იონა საბანიძე | 23. გიორგი მერჯული |
| 6. აკაკი ბაძრაძე | 15. დავით გურამიშვილი | 24. გრიგოლ ორბელიანი |
| 7. ვასილ ბარნოვი | 16. პესიკი | 25. დავით აღმაშენებელი |
| 8. პაულო იაშვილი | 17. რევაზ ინანიშვილი | 26. გურამ ასათიანი |
| 9. სულხან-საბა ორბელიანი | 18. ალექსანდრე შავშავაძე | 27. გრიგოლ როგაძიძე |

ერთი
ცალის
ფასი
4 ლარი

„ასოფლიო ლიტერატურის ქლასიკოსები“


მიმდინარეობს ხელმონერა. შემოგვიერთდით!



- ალბარტო მორავია - მოწყენილობა
- ჯეიმზ ფ. კუპერი - ჯაშუში
- გილბერტ კ. ჩისტერტონი - დონ კისოტის დაბრუნება
- მარგარეტ ღიურასი - საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან
- ალბერ კოენი - დედაჩემი
- ჯონ გოლსუორთი - რჩული მოთხრობები
- პროსპერ მერიმე - ილევი ვენერა
- უ. სომერსეტ მოემი - ჭრელი საბურველი
- ჯონ ბრედინი - გზა ელიტისაკენ
- ჯეკ ლონდონი - დიდი სახლის პატარა დიასახლისი
- ონორე დე ბალზაკი - მამა გორიო

- ვიქტორ ჰიუგო - პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი
- ემილ ზოლა - ძალთა გადნეობა
- ალექსანდრე დიუმე - კავკასია
- ფიოდორ დოსტოევსკი - მკვლარი სახლის ჩანაწერები
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - მონტესუმას ასული
- სტენდალი - ნითელი და შავი
- ლევ ტოლსტოი - კავკასიური მოთხრობები
- ჯონათან სვიფტი - გულიერის მოგზაურობა
- ერის მარია რემარკი - სამი მეგობარი
- შოლერლე დე ლაკლო - სახიფათო კავშირები
- ალექსანდრე პუშკინი - მოთხრობები
- შტეფან ცვაიგი - მოუთმენლობა გულისა
- მაინ რიდი - კვარტარონი
- ვილჰელმ ჰაუფი - ლიტანგებანი
- თეოდორ დრაიზერი - დიკო კერი
- ნიკოლაი გოგოლი - რჩული მოთხრობები
- გუსტავ ფლობერი - მადამ ბოვარი

თითო ტომის ფასი - 12 ლარი



კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი თამაზ ვასაძე
~~11~~ ლარი
9 ლარი




„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“
თამარ ბეროზავილი
10 ლარი

გამოცემლობა „ლიბანესა“ და გაზეთ „ახალი განათლება“ სპეციალური პროექტი




მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია
~~45~~ 35 ლარი




საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია
~~30~~ 26 ლარი



ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია
~~40~~ 30 ლარი



ილია ჭავჭავაძე, ორტომეული
16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი
5.70 ლარი



„რა არის რა“ 50-ტომეული ერთი ტომის ფასი ნაკვალად 11 ლარისა 9 ლარი

- ❖ მსოფლიოს 7 საოცრება
- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ დიდი აღმოჩენები
- ❖ ხალხთა დიდი გადასახლება
- ❖ გამომგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ქველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები
- ❖ კოშკები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები

- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ქველი რუმბი
- ❖ ქველი საბარძეთი
- ❖ საშურაი
- ❖ უდაბნო
- ❖ უძველესი ადამიანები
- ❖ ახსენილი და აუხსენილი ფენომენები
- ❖ ფიზიკა
- ❖ ჩაპირული ძალაძეები
- ❖ ძივები
- ❖ მეგობრები
- ❖ ოლიმპიური თამაშები
- ❖ მთები
- ❖ ჯანსაღი კვება
- ❖ არქიტექტურა

ქართული მწერლები

- ❖ ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული), I-V ტომი - 11 ლარი
- ❖ მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული), I-VII ტომი - 11 ლარი
- ❖ ლევან გომთუა (7-ტომეული), I-II ტომი - 16 ლარი
- ❖ ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული), I-II ტომი - 15 ლარი
- ❖ კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, VI, VII, VIII ტომი - 16 ლარი, IV-V ტომი - 18 ლარი
- ❖ რევაზ ინანუშვილი (6-ტომეული), I-VI ტომი - 12 ლარი
- ❖ ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული), I-VI ტომი - 12 ლარი
- ❖ გრიგოლ ავაშიძე (6-ტომეული), I-V ტომი - 12 ლარი
- ❖ ოტია იოსელიანი (10-ტომეული), I-X ტომი - 12 ლარი
- ❖ თამაზ ჭილაძე (6-ტომეული), I-VI ტომი - 10 ლარი
- ❖ გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული), I-V ტომი - 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ხელმონერის თანხა გადმორისხეთ რეკვიზიტებზე: მიმღები - შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735 ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22 შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმონერები!



მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტაბაღაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073, 577 132283.
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735 ა/ა GE86BG000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X



9 772233 386008 >